ოთხშაბათი. 1919 წ. იანვრის 22 № 16
წლიწადი მეხუთე

ოთხშაბათი. 1919 წ. იანვრის 22 № 16
ფასი თბილისში და პროვინციაში 1 მან. რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ელირება—40 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 15 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს“ რედაქციის ფონდი.

დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას.

ქართულ მსახიობთა კავშირის საბჭო გულითადის მწუხარებით აცხადებს, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო მსახიობი და კავშირის წევრი

ვალერიან შალიკაშვილი

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 23 იანვარს გურიაში, ს. აკეთს მაცხოვრის ეკლესიის სასაფლაოზე. ქ. თბილისს კი იმავე დღეს დანიშნულია პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში ნაშუადღევის 2 საათზე.

1—100—1

სახელმწიფო თეატრი
საოპერო დასი ს. ი. ევლახოვისა
დღეს, 22 იანვარს წარმოდგენილი იქნება
ფრა-დიავოლო
მონაწილეობენ ქ-ნნი: საბანეევა, იანსა, ბ-ნნი: ზალიპსკი, პოლიაევი, ნიკოლსკი, დემიანენკო და ეზროვი.
დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ქართულ ენაზე პარასკევს, 24 იანვარს ქართულ ენაზე
დემონი
მონაწილეობენ ქ-ნნი: შულგინა, ხორინა, ბ-ნნი: სარაჯიშვილი, ინაშვილი, ისეცკი, დემიანენკო და კურბატოვი.

შაბათს, 25 იანვარს ბალეტის ბენეფისი შაბათს, 25 იანვარს
1. „გრძნეული ფლეიტა“. 2. „სოფლის პატიოსნება“.

კვირას, 26 იანვარს, დილით—„შვიდი ციკანი“, „წითელი ქუდი“ და „ქორწილი უკრაინაში“; საღამოთი ა. ა. გურესის ბენეფისი „ჰოფმანის ზღაპრები“.

სახელმწიფო თეატრი
საოპერო დასი ს. ი. ევლახოვისა
ხუთშაბათს, 23 იანვარს, ქართულ ენაზე წარმოდგენილი იქნება
ოპერა
დემონი
მონაწილეობენ: ქ-ნნი: შულგინა, ხორინა; ბ-ნნი: სარაჯიშვილი, ინაშვილი, ისეცკი, დემიანენკო, კურბატოვი.
ახალი დადგმა ალ. წუწუნავასი.

5—97—3

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია
დღეს, იანვრის 22, საღამოს 6 საათზე, ოლგას ქ., 52, სახლი მაჩაბლისა.
პირველ სამილიციო უბნის
ეროვნულ-დემოკრატების,
რადიკალ-დემოკრატების
და უპარტიოთა
საზოგადო კრება დანიშნული
მოხსენებებს საქალაქო არჩევნების შესახებ წაიკითხავენ:
გ. გვაზავა, ა. ასათიანი, პ. გოთუა და სხვანი.

საქართველოს
მამულიშვილნო!
ახლოვდება არჩევნები
დამფუძნებელ კრების
და
თბილ. თვითმართველობისა
ყოველი ქართველი მამულიშვილი ვალდებულია მხურვალე და შეგნებული მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში.
ჩაეწერეთ სიებში, თუ გამოტოვებული ხართ.
დაიცავით არჩევნებში თქვენი უფლებები.
დაიცავით თავისუფლება და კანონიერება.

ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
„საქართველო“
1919 წელ. | წლიწადი მეხუთე | 1919 წელ.
მორიგ მასალის გარდა გაზეთში დაიბეჭდება ვასილ ბარნოვის დიდი ისტორიული
რომანი „ტრფობა წამებული“ რომანი
გაზეთის ფასი:
წლით—150 მან., ნახევარი წლით—75 მან., სამი თვით—40 მან., ერთი თვით (მხოლოდ თბილისში)—15 მან.

ხელის მომწერს, რომელიც გაზეთის ფასს გარდა კიდევ 10 მანეთს შემოიტანს, მიეცემა წლის ბოლომდე
გერონტი ქიქოძის წიგნი ეროვნული ენერგია

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგრამის მისამართი: თბილისი „საქართველო“. ტელეფონი—15—73. კონტორა ღიაა დილით 9—3 ს.

## დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის

ორი კვირის შემდეგ ყოველი მოქალაქე ჩვენი რესპუბლიკისა ყუთებთან უნდა მივიდეს თავის მოქალაქეობრივი მოვალეობის მოსახდელათ. საარჩევნო კომპანიაში უმთავრესათ ორი პარტიაა დაპირისპირებული, სოციალ-დემოკრატია და ეროვნული დემოკრატია. მათ შორის სდგანან: ს.-ფედერალისტები და ს.-რევოლუციონერები; სოციალისტების მთავარი მიზანია ნელ-ნელა, თანდათანობრივი ზომების მიღებით გამოიწვიონ არსებულ ეკონომიურ წესწყობილების მოსპობა და სოციალისტურ-კომუნისტური წესწყობილება გაამეფონ. მიწების ჩამორთმევა თავდაპირველათ სწორეთ აგეთი სოციალისტური მაშტაბით იყო განზრახული, მხოლოდ ჩვენი გლეხობის შეგნებულმა და მიზან-შეწონილმა წინააღმდეგობამ აიძულა სოციალისტები ხელი აეღოთ თავიანთ განზრახვის განხორციელებაზე და მიეღოთ ეროვნულ დემოკრატიის მიერ დაჟინებით ნაკარნახევი პრინციპი მიწის გლეხებზე საკუთრებათ გადაცემისა. სოციალისტები ამისდა მიუხედავათ, მაინც იმედოვნებენ მომავალში გლეხობა ისე გაწვრთნან, რომ თავიანთ სოციალიზმზე დაიყოლიონ. ამისათვის სოციალისტებმა დაიწყეს ქალაქებში ნიადაგის შემზადება სახლების იძულებითი ჩამორთმევის კანონის გატარებით. და შრომის ის პირობები, რომელიც ეხლა გამეფებულია სოციალისტთა უსაზღვრო ბატონობის წყალობით, შეუძლებლად ხდის მუშაობას და საფრთხეს უმზადებს როგორც ჩვენს მრეწველობას ისე თვით მშრომელ დემოკრატიას, რომელსაც სხვა და სხვა წარმოებათა დახურვით, უმუშევრობის აჩრდილი უდგა თვალ წინ.

მაგრამ უმთავრესი შეცდომა გაბატონებულ პარტიისა გახლავთ მისი უსამართლო სურვილი თვითბატონობისა. ქვეყნის მართვა-გამგეობა სოციალისტურმა მიმართულებამ დაისაკუთრა და ამით დაბადა საერთო უკმაყოფილება ფართო დემოკრატიულ წრეებში, რომელიც არ იზიარებს სოციალისტურ მრწამსს.

სოციალისტები და კერძოთ სოციალ-დემოკრატია თავს მითი იმართლებდა, რომ პარლამენტში წარდგენილი პარტიათა ძალთა განწყობილება არ მოითხოვდა კოალიციონურ პრინციპების გატარებას მთავრობის შედგენის დროს.

ეროვნული დემოკრატია იმ თავიდგანვე იდგა სალს პოზიციაზე და სამართლიანათ მიუთითებდა მართველ პარტიას ხალხის სულიერ განწყობილებისაკენ. ჩვენი იდეები, თვით ჩვენი პოლიტიკური კურსი დიდის რყევისა და დროს დაკარგვის შემდეგ მიღებულ იქმნა იძულებით, თითქმის ნაძალადევათ, გარეშე პირობათა ზეგავლენით, მაგრამ ის პრინციპები და პოლიტიკური კურსი სოციალისტურმა ელემენტებმა სათანადოთ ვერ შეასრულეს. მაშინ როდესაც კოალიციური მთავრობა, რომლის პლათფორმა წინასწარ პარტიათა შორის შეთანხმებით უნდა შემუშავდეს, უზრუნველჰყოს ამა თუ იმ პრინციპისა და კურსის ადვილად მიღებას და ცხოვრებაში სათანადო გატარებასაც.

ს.-დემოკრატიამ თითქმის ყველა პოზიციები დაჰკარგა იდეიურათ და ყველა საკითხებში მიიღო ეროვნულ-დემოკრატიის მთავარი პრინციპები. ორგანიზაციული ძლიერება არ გულისხმობს იდეიურ ძლიერებასაც. ეს ჩვენმა ცხოვრებამ ნათლად დაამტკიცა. მაგრამ როდესაც იქმნება ქვეყნის მართველობა, იქ უნდა წარმოდგენილ იყოს ის მთავარი იდეებიც და მიზნები, რომელიც შეიცავს მთელი ხალხის ფსიხიკის ძირითად ელემენტებს. თუ წარსულმა ნათლად დაამტკიცა ეროვნულ დემოკრატიის იდეათა ძლიერება, რომელსაც იძულებით დაემორჩილა თვით მართველი პარტია, ეროვნული დემოკრატია ვალდებულია განსაკუთრების ენერგიით იბრძოლოს ისეთი პირობების შესაქმნელად, რომელიც ხელს შეუწყობს და შესაძლებლად გახდის მთელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხის ნების ყოფის განხორციელებას დამფუძნებელ კრებასა და მის მიერ დადგენილ მთავრობაში. ხალხის ნებაყოფლობა კი მხოლოთ ერთის პრინციპების დაცვით შეიძლება. ეს გახლავთ კოალიციონური პრინციპი, რომელიც მიღებულია ბევრს დემოკრატიულ სახელმწიფოში და რომელიც უზრუნველმყოფელია მთავრობის სისუსტისა და მერყეობისაგან.

ზოგიერთ ევროპიულ სახელმწიფოში მიღებულია, რომ როდესაც პარლამენტი იკრიბება, იქ წარმოდგენილი მიმდინარეობანი მთავრობაში ერთდებიან. ამით მუშავდება, იკაფება გზა პარტიათა შორის თანამშრომლობისათვის და მთავრობის ერთი მთლიანი სამოქმედო პლატფორმისათვის, რომელიც მკაფიოდ გამოჰხატავს არა რომელიმე პარტიის, არამედ მთელი ხალხის ნებისყოფას.

ჩვენში აქამომდე პარტიული ბატონობა იყო გამეფებული. მთავრობის კონსტრუქცია და პლატფორმა იყო პარტიული. ამისთვის ეროვნულ-დემოკრატიას არა ერთხელ შემთხვევია უსიამოვნება, რომ მთავრობის მოქმედებას, მის კურსს ვერ გაჰყვა, თუმცა უნდოდა გაჰყოლოდა საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესისთვის; სწორედ ამიტომ სხვა და სხვა წრეები, გლეხობაც და მოქალაქეთა წრეც, თუმცა მოსურნეა მტკიცე მთავრობის დამყარებისა და მზადაა მას ყველაფერში დაეხმაროს, მაგრამ იმავე დროს ერთგვარ იდუმალ უკმაყოფილებას გრძნობს. ეს გაორება ხალხის გრძნობისა და შეხედულებისა გაბატონებულ პარტიის მიერ შექმნილ მთავრობის კურსისადმი—ფაქტია, რომელსაც ვერვინ გვერდს ვერ აუხვევს. მიზეზი ის პარტიული ჰეგემონიაა, რომელიც აქამომდე სუფევს ჩვენში წინააღმდეგ ყოველი საღი ლოღიკისა.

ეს ასე ვერ დარჩება შემდეგშიც.

მთელმა ხალხმა, ყოველმა მოქალაქემ, ვისაც სურს პარტიათა თანამშრომლობის პრინციპზე აგებული ქვეყნის მართვა-გამგეობა, ვისაც სურს მტკიცე ძლიერი მთავრობა კოალიციის ნიადაგზე დამყარებული, ვისაც სურს რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბოლოოთ მოისპოს პარტიული შუღლი და დაუნდობლობა და მის ნაცვლად დამყარდეს პარტიათა თანამშრომლობა ვალდებულია დაეხმაროს ეროვნულ დემოკრატიას არჩევნებში და მას საშუალება მისცეს თვისი პრინციპები მომავალ დამფუძნებელ ყრილობაში გაატაროს.

ტ. მ.

## ლიბკნეხტი

გერმანულ პრესიდან მიღებულ ცნობებით ბერლინში და გერმანიის სხვა პროვინციებში დასრულდა სამოქალაქო ომის ერთი პერიოდი. სპარტაკის ჯგუფებმა, რომელსაც მეთაურობდა ლიბკნეხტი და რომელმაც მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყება მოახდინა, ბრძოლა წააგო და ყველა ადგილებში დამარცხდა.

ვერავინ იტყვის, რომ ბრძოლაში ამ ჯგუფს არ გამოეჩინოს დიდი თავგანწირვა და გამბედაობა, მაგრამ როგორც სჩანს, ჯერ კიდევ არ მომზადებულა გერმანიაში ის კრიზისი, რომელიც თავისთავად მაინც ბოლოს და ბოლოს ალბათ მემარცხენეთა გამარჯვებით უნდა გათავდეს.

სპარტაკელთა დამარცხება, მხოლოდ შემთხვევითი უნდა იყოს და მოსალოდნელია, რომ სამოქალაქო ომი უფრო მეტი სისასტიკით გაიელვებს.

გერმანიის რევოლიუციის შესახებ ხშირად რუსულ რევოლიუციის ანა-

დღეიდან საარჩევნო სიები გამოფენილი იქნება საუბნო კომისიებში. სიებში შესწორების შეტანა შეიძლება 22 და 23 იანვარს საღამოს 9 საათამდე. ორი დღე დარჩა

# მოქალაქენო! არ დაკარგოთ თქვენი ხმა.

შესწორეთ სიები ქალაქის და დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის.

## უკანასკნელი ცნობები

კლემანსო საზავო კონფერენციაზე ერთხმად თავმჯდომარედ აირჩიეს.

სამშვიდობო კონფერენცის პრელიმინარულ სხდომაზე 16 იანვარს განიხილეს რუსეთის მდგომარეობის საკითხი.

ოსმალეთის მიერ დრ. ზავის პირობათა ხელის მოწერის 11 თვის შემდეგ ქ. მედინა ინგლისის მოკავშირე არაბეთის შეიხ ჰეჯასის ჯარს დაჰნებდა.

მოსალოდნელია ამერიკიდან ებრაელთა ემიგრაცია. ისინი სამშობლოში ბრუნდებიან.

ქ. ომსკში რკინის გზის მუშები აჯანყდნენ.

ლოგიებით სწერენ. სპარტაკელთა დამარცხება რუსის ბოლშევიკების ივნისის გამოსვლას უდრის. მაშინ ბოლშევიკები დამარცხდენ, სწერდნენ ლენინის სიკვდილზე და ბოლშევიზმის ლიდერები, რომელნიც ფინლიანდიაში ცხოვრობდენ, ყველას დაღუპული ეგონა.—კერენსკი ისე, როგორც ეხლა შეიდემანი სოციალისტური მორალით გამარჯვებულის ლმობიერებას იჩენდა, ხოლო იმავე დროს მზადდებოდა ოქტომბერი და თამამი მატროსები დროს ელოდნენ.

ოქტომბრის ცივ ქარს გამოყვა ლენინი და სიცივემ დაუარა რუსეთს... ეს პირველი ცდა იყო, როცა მეცნიერული სოციალიზმი ყირაზე დადგა და კომუნისტების ახალი განათება მოედო მთელ რუსეთს. ბევრს სწერდნენ მაშინ ლენინის წინააღმდეგ რუს მენშევიკების და ესერების დოკტრინერები, მათ კიდევ ვერ მოეხსნათ დოგმატიური კორსეტი და ეგონათ, რომ რუსეთი არ გაამართლებდა კომუნისტების რწმენას... რუსეთში ყველაფერს სასწაულით ხსნიდნენ, მაგრამ ეს სასწაული მაინც არ იყო მოულოდნელი.

ლენინი ალბად გულში იმეორებდა იმ ფრაზას, რითაც ერთხელ მოსკოვში მიმართეს იტალიის ცნობილ ფუტურისტ პოეტს ფ. მარინეტის რუსმა პოეტებმა: ჭეშმარიტათ, რუსეთი უფრო ფუტურისტულია, ვიდრე მარინეტი.

რუსეთი უფრო რევოლიუციონერი აღმოჩდა, ვიდრე მარქსი... და ალბად არა მარტო რუსეთი, ასეთივე იქნება გერმანიაც... ეს არის დაწყება რევოლიუციის ციკლისა და ალბად მოვარდნილი გრიგალი არ ჩადგება სანამ არ მოიარს თავის წრეს.

როგორც ომმა, ისე რევოლიუციებმაც უნდა მოაბრუნონ წრე.

წრის მობრუნების იდეაც გერმანელებისა გამოტანჯული იდეაა:

ჰეგელი და ნიცშე.

თუ გადამეტებული ხმა არ არის, ბარიკადებზე ბრძოლის დროს ბერლინში დაიღუპა ლიბკნეხტი; ამას ამოწმებს შეიდემანის განცხადებაც, რომ ლიბკნეხტი ბრბოს თვით-გასამართლების მსხვერპლი გახდარა.

თუ დაპირდაპირდება ორი მოვლენა: ომი და რევოლიუცია, ორივეს ევროპაში გერმანული გენია ანათებდა. შემდეგ გამოჩნდება, ვინ დაიწყო ევროპის ომი, მაგრამ ომის შთაგონება და შარავანდედი იმპერატორ ვილჰელმს ეკუთვნის, რევოლიუციის გვირგვინიც ლიბკნეხტს ეპირა... რევოლიუციის შთაგონება და პათოსიც მან შექმნა.

ლიბკნეხტი თავის პიროვნებაში აცოცხლებდა საფრანგეთის რევოლიუციის რომანტიზმს—ომის პირველ დღიდანვე გაისმა მისი ხმა და ლიბკნეხტი იყო პირველი რევოლიუციონერი, რომელიც არ შეუშინდა ვილჰელმის ჯავშანს; უკანასკნელ დროსაც ის არ იყო სარდალი, ის უშუალოთ იღებდა მონაწილეობას ბრძოლაში და ამიტომაც არ ასცილდა სიკვდილი... განურჩევლად რწმენისა ლიბკნეხტის კეთილშობილება აანთებს ყველა პატიოსან გერმანულ მოქალაქეს.

შემცდარი არიან რუსეთის რევოლიუციის მესიანისტები, როცა იჩემებენ რევოლიუციაში პირველობას, რევოლიუციის ქარი ლიბკნეხტიდან მოდის ლენინამდე და ცეცხლიც უფრო მაღალი დაინთება...

სხვა კითხვაა განწყობილება რევოლიუციისადმი, მაგრამ თვალი უნდა ხედავდეს სწორეთ. ევროპის კულტურას დასჭირდა რევოლიუციის გადახალისება, ეს მისი ორგანიული საჭიროებაა და ვერაფერი ვერ დააკავებს მის სვლას. ერთი რუსის პოეტი და მოაზროვნე რუსეთის გამართლებისთვის მიმსგავსებას ხედავს კვერცხის ნაჭუჭის ცის დანგრევასა და რევოლიციაში როცა ნაჭუჭის დანგრეულ ციდან ფრინველის ახალი სიცოცხლე გამოდის.

ქვეყანასაც ენგრევა ძველი ცა და იბადება ახალი შეგნება და სიცოცხლე. ომით დაიწყო ეროვნებათა განთავისუფლება და რევოლიუციით დაამტკიცებს ამ თავისუფლებას. ამაშია ჩვენთვის აზრი, როგორც ომის- ისე რევოლიუციის და ეს გვავალებს ჩვენ პატივისცემას კეთილშობილებისას და რევოლიუციონერისას როგორც იყო ლიბკნეხტი.

ტიციან ტაბიძე

## პრესსა

### „სალი კლდის“ ნათლობა

„სალი კლდის“ ჯგუფი როგორც იყო მოინათლა. ამიერიდან მას ეწოდება „საქართველოს ეროვნული პარტია“ და არჩევნებშიაც ამ სახელით აპირობს გამოსვლას.

რანაირ სიმარტივემდე უნდა იყოს მისული გენიალობა ბ. ვეშაპელის ჯგუფისა, რომ ასე მოკლედ მოსჭრა საკითხი.

ხუთი თვე არ იცოდენ რა დაერქმიათ პარტიისთვის და ასე ადვილი კი ყოფილა სახელის გამოგონება.

ძველად ამბობდენ:

**Nomina sunt consequentia rirum.**

ესე იგი:—სახელი გამოხატავს შინაარსსო.

ჩვენ სერიოზულად ვეკითხებით „სალი კლდეს“, რა შინაარს, რა მიმართულებას გამოხატავს ის სახელი, რომელიც „სალი კლდის“ მამლაყინწებმა უწოდეს თავის თავს.

რადიკალურია იგი თავის მიმართულებით, კონსერვატორული, სოციალისტური, თუ ბოლშევიკური?

განა საქართველოში მომქმედი ქართული პარტიები ეროვნული პარტიები არ არიან?

განა სოციალ-დემოკრატიული პარტია ეროვნული პარტია არ არის?

განა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ეროვნული პარტია არ არის?

განა რადიკალ-დემოკრატიული პარტია ეროვნული პარტია არ არის.

ჩვენი აზრით ეროვნული პარტია არის თვით ისეთი სასაცილო სახელწოდების პარტიაც, როგორიც არის „მაშვრალთა“ პარტია.

მაშ რაშია საქმე? რატომ არა აქვს ამ „პარტიას“ ნამდვილი სახელი და რატომ აქვს ისეთი სახელი, რომელიც არაფერს გამოხატავს?

იმიტომ რომ მას არა აქვს პროგრამა, მას არა აქვს პოლიტიკა—თვით პარტია არის, რომ არაფერს გამოხატავს.

ხომ არ შეიძლება პროგრამა ეწოდოს ოსმალეთთან დადებულ ხელშეკრულობის გამომჟღავნებას. ანდა პოლიტიკა იმას, რამაც პარლამენტში რევაზ გაბაშვილმა ლაზღანდარობის სახელი მოიპოვა.

მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც სიხარულით ვეგებებით ამ სამასხარო ამბავს. სიხარულით ვეგებებით მიტომ, რომ ამიერიდან ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პატიოსან სახელს ჩამოეხსნებიან „სალი კლდის“ რაინდები.

—

### „საქართველოს ეროვნულ პარტიის“ მორალი

„საქართველოს ეროვნული პარტია“ უკვე შეუდგა საარჩევნო კომპანიას.

„სალი კლდის“ ჯიხვებსა და არჩევებს შესანიშნავი საზოგადოებრივი მორალი ჰქონიათ.

აი რასა სწერს გაზეთი:

დღეს საბედნიეროთ სოციალისტურ ქადაგებას იმდენი გასავალი აღარ ექნება, რამდენიც აქამდე, ვინაიდან თვითეული ქართველი კაცი, თუ გულზე ხელს დაიდებს და გულწრფელად იტყვის იგი ჯერ თავის-თავზე ფიქრობს და შემდეგ სხვაზე.

ბ. ვეშაპელის გაზეთს ჰგონია, რომ პრინციპი საზოგადოებრიობისა, საურთიერთო დახმარებისა და საზოგადო ინტერესების კერძო ინტერესებზე მაღლა დაყენებისა მხოლოდ სოციალიზმის პრინციპია. ამიტომ ის მოუწოდებს ყოველ ქართველ კაცს იფიქროს მხოლოდ თავის თავზე, ესე იგი თავის კარმიდამოზე და ნუ იფიქრებს საზოგადოებაზე, სახელმწიფოზე, საქართველოზე.

ასეთის ბუშმენურის შესავლით იწყობენ ბ. ვეშაპელები საარჩევნო კომპანიას.

ასეთ ლოღიკის და ზნეობრივ ავლადიდების ხალხთან საზოგადოებრივ მორალზე ლაპარაკი ძნელია.

მაგრამ არ შეგვიძლია ერთი კითხვა არ მივცეთ ბ. ვეშაპელის გაზეთს:

თუ ყოველმა ქართველმა მარტო თავის თავზე უნდა იფიქროს და სამშობლო და სახელმწიფო ფეხებზე უნდა ეკიდოს, რატომ უნდა იფიქროს იმავ ქართველმა კაცმა ბ. ვეშაპელზე და მაინცა და მაინც მას მისცეს თავისი ხმა?

და განა ის წერილი, საიდანაც ეს ამონაწერი მოგყავს, იმას არ ემსახურება, რომ „ქართველმა კაცმა“ სწორედ ვეშაპელს მისცეს საარჩევნო ხმა.

ამის შემდეგ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ „სალი კლდის“ პარტია ეროვნული პარტია კი არ არის, არამედ პარტია იქ თავ-მოყრილ ბუშმენებისა.

## გენერალ მილლის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში საგანგებო მატარებლით ჩამოვიდა კავკასიაში მყოფ სრულიად ინგლისელთა სამხედრო, სამოქალაქო და პოლიტიკურ დაწესებულებათა მთავარ-სარდალი გენ. მილლი. მის დასახვედრად ვოგზალზე იდგა შოტლანდიელთა გუნდი და საქართველოს რესპუბლიკის საპატიო ყარაული. გენ. მილლი მიესალმა გუნდსა და ყარაულს, შემდეგ მიემართა მისთვის დანიშნულ ბინაზე მანთაშევის სახლში (პასკევიჩის ქუჩაზე), რომელზედაც ინგლისელთა სამხედრო შტანდარტია, ხოლო სადგომის შესავალში ინგლისელთა ჯარების ყარაული დააყენეს. გენერალი სადარბაზოდ იყო მთავრობის თავმჯდომარესთან და შემდეგ გუმგზავრა ბაქოში საიდანაც ხვალზევით დაბრუნდება.

## პარტიულ ახალგაზდობას!

საარჩევნო კომპანია დაიწყო.

არჩევნების შედეგი ჩვენს მუშაობაზედ არის დამყარებული.

ეროვნულ-დემოკრატიული ახალგაზდობა უნდა ამოქმედდეს მთელი თავისი ენერგიით.

ყოველი პარტიის წევრი და თანამოაზრე უნდა გამოცხადდეს პარტიულ კომიტეტებში და მიიღოს სათანადო დავალება.

თბილისში მყოფნი უნდა გამოცხადდნენ მთავარი კომიტეტის ბინაზედ, სადაც იმყოფება ცენტრალური საარჩევნო კომიტეტები და ჩაებან საარჩევნო მუშაობაში.

ყოველი კაცის გარჯა დიდ ნაყოფს გამოიღებს!

## მოქალაქენო!

ბოროტმოქმედებმა საარჩევნო ბიუროში 10,000 მოქალაქის ბარათი დახიეს. შეიძლება თქვენი სახელიც ამოშლილია. მიდით საარჩევნო უბანში შეიტანეთ თქვენი სახელი და გვარი საარჩევნო სიაში.

შესწორებისთვის მხოლოდ ორი დღე დარჩა.

## ქართველო ამრჩევლებო!

ეროვნული დემოკრატია ერთად ერთი პარტიაა, რომელიც აქტიურ ეროვნულ პოლიტიკას აწარმოებს.

მიეცით ხმა № 2-ის სიას.

## ქრონიკა

**ქალაქის გამგეობა.** ქალაქ. თბილისის გამგეობა, რომელმაც 16 იანვრიდან თავის თავი თანამდებობიდან გადამდგარად გამოაცხადა, ქალაქის საბჭოს თხოვნით 20 იანვრიდან კვლავ თავის თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

**დამფუძნებელი კრებისათვის.** 20 იანვრის ქალაქის საბჭოს სხდომაზე საბჭომ საქართ. დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის ქალაქის ცენტრალური კომისია აირჩია კომისიაში 9 კაცი შედის. ს. დ. 1. კახიანი, 2. რუსია, 3. მახვილაძე და 4. კოვალიოვი, ე. დ. პ. გოთუა. დაშნაკ. 1. აგარონიანი და 2. ზარგორიანი. დანარჩენი სამი ადგილი სხვა ფრაქციებს დაუტოვეს. ხსენებული კომისია ხელმძღვანელობას გაუწევს ქალაქის საუბნო კომისიებს.

**პლეხანოვის სახელობითი სამკითხველო.** სადგურს გადაღმა უბნის უფასო წიგნთ საცავ სამკითხველოს პლეხანოვის სამკიხველო უწოდეს.

**ბილეთის ფასის მომატება. ზუბალაშვილის ხახლში** ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებით ზუბალაშვილის სახალხო სახლში ბილეთების ფასი 100 პროც. გადიდდა. აწი ბილეთები ეღირება 40 კ.—3 მანეთამდე.

**ქალაქის საუბნო მომრიგებელ მოსამართლენი.** ქალაქის საბჭომ 20 იანვრის სხდომაზე სარეკომენდაციო კომისიის მიერ საუბნო მომრიგებელ მოსამართლეთა სია დაამტკიცა. არჩეული არიან. 1. ს. დანდუროვი; 2. ა. ლინგენზეგიჩი; 3. არ. კიკნაძე; 4. ე. მირიანაშვილი; 5. ის ხალაფიანი; 6. ს. ერისთავი; 7 ალ. მაჩაბლიშვილი; 8. ტერიევი; 9. ი. ხიმშიაშვილი; 10. სარაჯიშვილი; 11. ა. ჩაჩავა; 12. გრ. კოკაშვილი; 13. გრ. სულიაშვილი; 14. გ. მაჭავარიანი; 15. დ. ეგორაშვილი. სულ ასარჩევი იყო 22. დანარჩენ 7 შემდეგ აირჩევენ მანამ არჩეულებმა წინასწარი მუშაობა უნდა აწარმოვონ.

**რაუტი.** ინგლისელების პატივსაცემლად, რომელნიც გუშინ უნდა გამართულიყო საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ, გადაიდო პარასკევს 24 იანვრისათვის.

**დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატები.** დამფუძნებელ პარტიის არჩევნებში საქართველოს ეროვნულ პარტიის სიით (№ 8) გამოდის.

**† მოქალაქე კონსტ. მაისურაძის სიკვდილი.** 11 იანვარს ბაქოში გარდაიცვალა ცნობილი მოქალაქე—ფალავანი კოსტა მაისურაძე.

**მსახიობი გედევანოვ-მირალიანი** მძიმე ავადმყოფი შეიქმნა.

**ტელეგრაფის შეკეთება სამტრედია ბათუმშუა.** ინგლისის მისიის რწმუნებულმა გზათა სამინისტროს აცნობა. რომ თანახმად მოლაპარაკებისა მათ არავითარი საწინააღმდეგო არ ექნებათ სამტრედია-ბათუმს შუა რკინის გზის ტელეგრაფი შეკეთდეს. საქარ. რესპ. ტელეგრაფის მოსამსახურეთა მიერ.

**საქართ. რკინის გზის აგენტი ადერბეიჯანში.** ადერბეიჯანის რკინის გზების სამართველო საქართ. რესპ. გზათა მინისტრს ატყობინებს, რომ საქ. რკინის გზის აგენტი სად. ფოილოში ჯერ კიდევ არ ჩასულა. რის გამოც თანახმად ხელშეკრულობისა გადასაცემი ფურცლები და გასაცვლელი აქტები ხელმოწერილი რჩება შესაძლებელია საქართველოს რკინის გზაზე გადასაზიდი საქონლის მიღება შესწყდეს თუ აგენტი მალე არ გაიგზავნა.

**ბერძენთა გაზეთი.** ამ დღეებში თბილისში მყოფ ბერძენ სოც. დემ ჯგუფის ორგანო „ემბროს“ (წინ) გაზეთი გამოვა რუსულ ენაზე.

**საბუღჰალტერო კურსები ქუთაისში.** განათლების სამინისტრომ ბ. შულგაიას ნება დართო ქ. ქუთაისში კერძო უფლებიანი საბუღჰალტერო კურსები გახსნას იმ პირობით, რომ მომავალში მთელი კურსების გაეროვნებას მოახდენს.

**მოსამსახურეთა დასახმარებლად.** განათლების სამინისტრო შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, გადასდონ მის განკარგულებაში 30,000 მ. მოსამსახურეთა უბედურ შემთხვევის დახმარებისათვის.

**განათლების სამინისტროს წარმომადგენელი ახალციხეში.** ამ დღეებში ქ. ახალციხეში განათლების სამინისტრომ თავისი წარმომადგენელი გაგზავნა გამოსარკვევად შეიძლება თუ არა ახალციხეში მიმდინარე წელს ქართული გიმნაზიის და სხვა სასწავლებლის გახსნა.

**დანიშვნა.** თბილისის ყოფილ სათავად-აზნაურო გიმნაზიის დირექტორად ა. ნ. მიქაბერიძე განათლების სამინისტროს კანცელარიის ვიცე-დირექტორად დაინიშნა.

**ყაჩაღთა გუნდის შეპყრობამ.** მეოთხე უბნის კომისარ ურუშაძემ გაიგო რომ 17 იანვარს სასტუმრო „ფლორიდა“-ში შემჩნეული პირნი შეიკრიბებიან. კომისარი მილიციონერებით ხსენებულ სასტუმროში მივიდენ და რამოდენიმე შეკრებილი პირნი ნახეს, რომელნიც ფულებს იყოფდენ. ყველანი დაიჭირეს. აღმოჩნდენ ა. ტარიევერლოვი, ლ. დუმაროვი, პ. ოლსაშვილი, შ. პიროევი, ი. პოლოსოვი და სხვანი გამოძიების შემდეგ გამოირკვა როს ეს ყაჩაღთა რაზმი 12 იანვარს სიმონიანცის ოჯახს დასცემოდა და 255,000 მან. წაეღოთ. დაიჭირეს აგრეთვე მათი ჩვენებით დანარჩენი მონაწილენიც ა. აკოპიანცი და ი. ჩატარბაშევი.

## პარტიული ცხოვრება.

დღეს, დილის 10 საათზე მთავარ კომიტეტის ბინაზე დანიშნულია სასწრაფო კრება საჩქარო კითხვების გასარჩევად.

## მხატვრული ქრონიკა

**ქართული ოპერა.** 24 იანვარს სახელმწიფო თეატრში ალ. წუწუნავას რეჟისორობით და ქართველ მომღერალთა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ქართულ ენაზე ოპერა „დემონი“. ახლო მომავალში სახელმწიფო თეატრში დასდგამს აგრეთვე ორ ქართულ ორიგინალურ ოპერას, არაყიშვილის „თქმულებას შოთა რუსთაველზე“ და ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერს“.

## პროვინციის ცხოვრება

### კახეთი.

**ავაზაკებთან ბრძოლა.** სიღნაღის მაზრის კომისარი გუბერნიის კომისარს ატყობინებს რომ იქ ავაზაკთა ბრბო, რომელსაც დარჩიაშვილი მეთაურებდა, გაანადგურეს. მოკლულია 5, დაჭრილია 8.

### თელავი

თელავის მაზრაში ადგილობრივი მილიციისა და ყაჩაღებს შორის შეტაკება მომხდარა, რომლის დროსაც 3 ყაჩაღი და ერთი მილიციონერია მოკლული.

### სიღნაღი.

ქ. სიღნაღის საადგილ-მამულო გამგეობა თავის გამგეობის ქვეშ იღებს ადმინისტრაციას.

### თიანეთი.

თიანეთში მოჰკლეს ფშავ-ხევსურეთში გავარდნილი დეზერტირების ბელადი მ. ხოდიაშვილი.

### ს. დიმი.

ავაზაკები თავს დაესხნენ კ. ნ. ივანე ლომსიანიძეთ. წაიღეს ფულად 650 მანეთი და 6100 საოჯახო ნივთეული.

### ბათუმი.

ბათუმში სულ მალე ქართული გიმნაზია გაიხსნება.

## სავალდებულო დადგენილება

**ქ. თბილისის გენერალ-გუბერნატორის თანახმად გამოცემული წესდებისა იმ ადგილებზე, სადაც გამოცხადებულია სამხედრო წესები**

1. ნაცვლად გამოცემულ სავალდებულო დადგენილების 15 იანვრის ჩემ მიერ ნება დართულია ქუჩებში სიარული და ყოველ სადამოთი მოძრაობა განუსაზღვრელათ დროთა.

2. ყველა სალხინო, სავაჭრო და სხვა ამ გვარი ადგილები უნდა დაიკეტოს აუცილებლად ღამის სრულ 11 საათზე.

ეს სავალდებულო დადგენილება შედის ძალაში დღიდგან მისი გამოქვეყნებისა.

ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი დაუყონებლივ იქნებიან ადმინისტრატიულ წესით დასჯილნი ციხეში წელიწად ნახევრის ვადით. ან დაჯარიმებული ათი ათასი მანეთით.

გენ.-გუბ. შ. მაღლაკელიძე

## თბ. საშუალო სკოლების ქართ. მასწავლ. კრება

კვირას 19 იანვარს თბილისის საშუალო სასწავლებელთა ქართველ მასწავლებელთა კრება შესდგა. თავმჯდომარედ აირჩიეს ი. ს. ღულაძე მდივნად გ. მიქაბერიძე. საგანი კრებისა იყო: „საჭიროა თუ არა დაარსდეს საშუალო სკოლების მასწავლებელთა კავშირი“. მოხსენება გააკეთა ვ. ა. ბურჯანაძემ. მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. რომლის შემდეგაც დაადგინეს: 1) დაარსდეს საშუალო სკოლების მასწავლებელთა კავშირი. 2) დაარსდეს თბილისის საშუალო სკოლების მასწავლებელთა კავშირი სადაც საქმის წარმოება სჯაბაასი და კამათი საზოგადო კრებაზე სახელმწიფო ენაზედ იქნება. 3) შეტანილ იქნეს კავშირის წესდებაში, მასწავლებელთა პროფესიონალურ შირში საქმის წარმოება, სჯა-ბ და კამათი საზოგადო კრებაზე სახ მწიფო ენაზე უნდა იყოს. 4) არჩ იქნეს დროებითი კომისია, რომელ კრების მიერ დავალებული იქნება შეადგინოს კავშირის წესდება, ბ) ლო მომავალში მოიწვიოს თბი სის საშუალო სასწავლებელთა მას ლებლების საზოგადო კრება. კომი მიეცა ორი კვირის ვადა.

კომისიაში 5 კაცი შედის. 1) ლორთქიფანიძე, 2) მ. ბურჯანაძ ღულაძე, 4) ფ. მგელაძე, 5) ელ. ცქიშვილი.

## ქალაქის საბჭო

**20 იანვრის სხდომა.**

თავმჯდომარეობს **ლომთათიძე.** კრება იხსნება 9-ნახევ. ს.

თავმჯდომარე კითხულობს ს. წერილობით განცხადებას, რომ ს სან ა. პაპავას მაგივრად ქალაქის ბ ჭოს წევრად შედის ი. სტურუა. თ მჯდომარე კითხულობს ქალაქის გ გეობის წერილობით განცხად რომ ქალაქის გამგეობამ საბჭოს ს სხდომაზე ზოგიერთ ფრაქციების მ გამგეობის ნაბიჯების უარყოფა გა როგორც უნდობლობის გამოცხად მისდამი და თანამდებობიდან გად გა. თავმჯდომარე წინადადებას ლევს საბჭოს, ამ განცხადების შ ხებ იმსჯელოს. შემოდის წინადად ს.-დ. რადგანაც მალე მოხდება ქა ქის ხმოსანთა ახალი არჩევნები, ამ საბჭოს და გამგეობის დღეები თვლილია, ეთხოვოს გამგეობას, კვ დარჩეს თავის ადგილზე. წინადად კენჭის ყრის შემდეგ მიიღეს, გამგე თავის ადგილზე დარჩა. შემდეგ გეობის წევრი მოხსენებას აკეთ დამფუძნებელ კრების არჩევნებისთ ქალაქის ცენტრალურ კომისიის ჩევის შესახებ. კომისიაში 9 კაცი და აირჩიონ.

**ხმ. გოთუა.** კარგი იქნება, საქ საჭიროებისათვის, რომ ყოველ ფრ ციას საშუალება ექნეს, არჩევნ მსვლელობას თვალყური ადევნოს ველი ფრაქციის წარმომადგენელი დიოდეს ამ კომისიაში.

ყველანი თანახმაა. ს.-დემოკრატ 9 კაციდან თხოულობენ 4. ასახე ბენ. 1. კახიანი, 2. რუსია, 3. მახ ლაძე და 4. კოვალიოვი. ე.-დ. პ გოთუას დანარჩენი სამი სხვა ფრ ციებისათვის რჩება. სია ერთხმად იღეს.

შემდეგ იგივე გამგეობის წევრი ხსენებით გამოდის, იგი აღნიშნ ქალაქის გასავალის მომატებას ჯ გირების მომატების სახით. ერთდ ულ დახმარებების სახით და სხ. წინადადებას აძლევს საბჭოს გას ლის დასაფარავად ტრამვაის ბი თის ფული მომატებულ იქნეს 30 მაგივრად 50 კ.; 45 კ.—1 მ., 75 კ 1 მ. 50 კ.

**არხნიძე.** მოქალაქენო. დღე და ლილ ქალაქის გამგეობას და საბჭ უფლება არ აქვს. ტრამვაის ბი თების ფასის მომატებაზე იმსჯელ რადგანაც ეს მთელ მომავალ წ შეეხება. ეს მომავალი გამგეობის ს მეა. მე წინადადებას ვიძლევი ეს კითხი მოიხსნას და გამგეობას და ლოს პირველ შეძლებისთანავე იმ მ სამსახურეებს, რომელთაც ძალ უჭირს მისცენ საჭირო დახმარ წინდაწინ.

უკანასკნელი წინადადება მიღ ლია.

შემდეგი საკითხია ქალაქის მომ გებელ-მოსამართლეთა არჩევნები.

სარეკომენდაციო კომისიის წევ კახიანი მოხსენებას აკეთებს, ამის სახებ იგი ამბობს რომ მომრიგებ მოსამართლეთა არჩევა საჩქაროა, დგანაც ამას იუსტიციის სამინისტ დაჩქარებით გვთხოვსო. კომისიამ შ დგინა სია კანდიდატების 22 კაცი გან შემდგარი, მაგრამ მიიღო რა მ დველობაში, რომ არჩეულებმა ერ რომ უნდა იცოდენ ქართული ენა, მეორე რომ უნდა იყვნენ საქარ. რე პუბლიკის მოქალაქენი. მიმართა კ დიდატებს წერილობით განეცხადე ნათ თვლიან თუ არა თავს საქ. რ მოქალ. ვინც განცხადებას არ უპა ხა ისინი მოხსნილ იქნენ სიიდან დარჩა 15 კანდიდატი. საქმე მოითხ რომ ამათ უყაროთ კენჭი და დამ ტკიცოთო.

**ხანდანოვი** (კ. დ.) მომრიგებე მოსამართლენი ჩვენ დიდი ხანია უნ აგვერჩია მაგრამ გადავდეთ მიტ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ პარლამენტის მიერ გამოცემული კანონი ქართული ენის ცოდნის შესახებ არ გვაკმაყოფილებდა საინტერესოა ვიცოდეთ იხ კანონი შეიცვალა თუ ისევე დარჩა.

**ბარათაშვილი** (ს. ფ.) უკანასკნელი ორატორის საყურადღებოთ უნდა განვაცხადო რომ საქართველოს პარლამენტი საზოგადოთ ერთხელ გამოცემულ კანონებს არ ცვლის ეს კითხვა იმდენად მომწიფებულია, რომ ქალაქის საბჭოს უფლება არ აქვს იგი გადასდოს...

**ხმ. ბროტვინი.** მე წინადადებას ვაძლევ საბჭოს ეს კითხვა შემდეგ სხდომისათვის გადასდოს და სთხოვს სარეკომენდაციო კომისიას შეავსოს ეს სია.

**პ. გოთუა.** როცა კომისია სიის შემუშავებას შეუდგა მხედველობაში ქონდა დაესახელებია ისეთი პირები, რომელნიც საქმისთვის გამოსადეგი იქნებოდნენ, გარდა ამისა თანახმად კანონისა, ისინი უნდა ყოფილიყვნენ ჩვენი რესპუბლიკის მოქალაქენი და სცოდნოდათ ქართული ენა. რადგანაც კომისიამ მოსთხოვა მათ წერილობითი განცხადება ქვეშევრდომობის შესახებ და მათ კი ეს არ წარმოადგინეს. ჩვენ სრული უფლება გვაქვს ისინი სიიდან ამოვშალოთ და დანარჩენ 15-ს კენჭი უყაროთ, ამას მოითხოვს საქმის ინტერესი.

შემოდის ორი წინადადება 1) მოახდინონ ახლა ნაწილობრივი არჩევნები, 2) არჩევნები გადასდონ. კენჭის ყრის შემდეგ გადის პირველი წინადადება 3-ს წინააღმდეგ 27.

კითხულობენ კანდიდატთა სიას რის შემდეგ ყუთები იდგმება არჩევნების შედეგი ასეთია.

1) სერ. დონდუროვი თეთრი 42 შავი 7, 2) ალ. ლინგენზევიჩი თ. 41 შ. 8, 3) არის. კიკნაძე თ. 39 შ. 9, 4) ე. მირიანაშვილი თ. 40 შ. 9, 5) 5) ის. ხალაფიანი თ. 45 შ. 4, 6) ს. ერისთავი თ. 39 შ. 10, 7) ალ. მაჩაბლიშვილი თ. 37 შ. 12, 8) ეფრიევი თ. 43 შ. 6, 9) ი. ხიმშიაშვილი თ. 40 შ. 9, 10) სარაჯიშვილი თ. 40 შ. 9, 11) ა. ჩაჩავა თ. 39 შ. 10, 12) გრ. კოკაშვილი თ. 36 შ. 12, 13) გრ. სულიაშვილი თ. 43 შ. 6, 14) გ. მაჭავარიანი თ. 38, შ. 11, 15) ლ. ეგორაშვილი თ. 36 შ. 12.

ამგვარად 15 არჩეულ იქნენ ქალაქის სასამართლო მომრიგებელ მოსამართლეებათ.

შემდეგ გამგეობის წევრი ხურაშოვიჩი მოხსენება გააკეთა სადგურის გადაღმა უბნის სამკითხველო დაერქვას პლეხანოვის სამკითხველო. მიღებულ იქნა.

იგივე გამგეობის წევრი მოხსენებას აკეთებს, ზუბალაშვილი სახელობის სახალხო სახლში მომატებულ იქნეს ბილეთების ფასები 100 პროც. დღემდე 20 კ. 150 კ. იყო აწი კი 40 კ. 3 მანეთამდე იქნეს. მოხსენება ერთხმად მიღებულ იქნეს.

შემდეგ საბჭოს მოხსენდა ქალაქის მილიციის შტატის გადიდების შესახებ რომელსაც წასულ წლის ივნისში მოხდა. დაშნაკელებისა და კადეტების ფრაქციები უკმაყოფილებას გამოსთქვამენ, რომ ქალაქის გამგეობას ასე დაგვიანებით ეკითხებიან მილიციის შტატის გადიდებას.

წინადადება შემოდის შტატი დაამტკიცონ და ეთხოვოს გამგეობას, მოხსენებებს სხ. და სხ. საკითხების შესახებ აქე ნუ დააგვიანებს. წინადადება მიიღეს.

სხდომა დაიხურა 11 ნახ. საათზე.

## საქართველოს პარლამენტში.

**18 იანვრის სხდომა.**

თავმჯდომარეობს ექ. თაყაიშვილი.

გრძელდება მსჯელობა აგრარული საკითხების შესახებ.

**ლ. შენგელაია** (სოც.-რევ.).

ფრიად მნიშვნელოვანი საკითხთაგანი არის მიწის რეფორმის გატარება, ეს საკითხი ვერ გადასჭრა თებერვლის რევოლიუციამ და აი ეხლა ჩვენ გვიხდება მისი გადაწყვეტა. ჩვენმა პარლამენტმა, რომლის შემადგენლობაც სოციალისტურია, უნდა ისარგებლოს თავისი უმრავლესობით და ისეთი მიწის კანონი გაატაროს, რომელიც სოციალიზმს დაგვაახლოვებს. ამბობენ, გლეხი კერძო საკუთრების მოტრფიალე არისო, შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მიწა მათ უფასოდ კერძო საკუთრებათ უნდა მიეცეთ. რუსეთის გლეხთა ყველა ყრილობებზე ისინი მოითხოვდენ მიწის სოციალიზაციას და თვით ბოლშევიკები, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ სოციალიზაციისა, იძულებული გახდნენ დაედასტურებინათ გლეხთა მოთხოვნილება.—ორატორის აზრით გლეხები არ არიან მიწის კერძო საკუთრების ფანატიზმით შეპყრობილნი. მათ სოც.-დემოკრატიულ ყრილობაზე მიწის მუნიციპალიზაცია მიიღეს. ამბობენ, თუ გლეხს მიწა მივყიდეთ, ის რევოლიუციის მონაპოვარს მტკიცედ დაიცავს და ძველი წესწყობილების რესტავრაციისა არ უნდა გვეშინოდესო. გლეხი რევოლიუციის მონაპოვარს დაიცავს მხოლოდ მაშინ, თუ მას რაიმე ახალი მიეცა, მიწის ყიდვის უფლება მას წინადაც ჰქონდა. ამობენ, გლეხებს საკმარისი ფული მოეძებნება და მიწებს ადვილათ შეისყიდვენო. უმიწაწყლო გლეხს ფული არ გააჩნია და ვერც შესძლებს მიწების შეძენას.

**ხ. ფირცხალავა.** (სოც.-ფედ.) ისტორიამ ქართველ სოციალისტებს უდიდესი საქმე დააკისრა, ქართველი ერის განთავისუფლება და აღორძინება წილად არგუნა ჩვენებურ სოციალისტებს. დამოუკიდებლობის გამოცხადება, მისი დაცვა—ეს სოციალისტების საქმე არის. ჩვენი რესპუბლიკის დაცვას—საკუთარ სისხლით და სიცოცხლით ყველაზე მეტად სოციალისტები ემსახურებიან. სოციალისტებმა შეამზადეს ერის განთავისუფლება, მათ აღზარდეს პოლიტიკურათ ქართველი დემოკრატია, მშრომელი ფართო მასა, რომელიც შეადგენს უდიდეს სიმკვიდრეს საქართველოს რესპუბლიკისათვის. სოციალისტებს წილად ხვდათ ქართველი ერის დამოუკიდებელი საკუთარი არსებობის აღდგენა, სახელმწიფოს მოწყობა ბურჟუაზიულ არა სოციალისტურ ხანაში. ეს გარემოება ბორკავს მათ პოლიტიკურ და სოციალურ შემოქმედებას და მათის დროშით აღდგენილი საქართველო შეიძლება იყოს არსებითად ბურჟუაზიული, თუნდაც უაღრესად დემოკრატიული. მაგრამ დანაშაული იქნებოდა სოციალისტების მხრით, თუ დღევანდელ აღმაშენლობის დროს მიჩრდილავდენ სოციალისტურ იდეალებს. მუშათა კლასმა დაანგრია ბევრი ციხე ბურჟუაზიულ წეს-წყობილებისა და და კერძო საკუთრების კერპი აღარ არის სათაყვანებელი საგანი, როგორც ეს უწინ იყო. სოციალისტებმა ისეთ წესებს უნდა გაუხსნან გზა, რომელიც მიგვაახლოვებს საბოლოვო მიზანს. წარმოდგენილი კანონ-პროექტი შეუფერებელია და უარსაყოფია. კანონ-პროექტი უნდა ხელახლად იქნეს შემუშავებულიო. ორატორი კითხულობს სოციალ-ფედერალისტების მიერ შემუშავებულ საფუძველს მიწის კანონისას, სადაც აღნიშნულია, რომ მიწა თითონ არ მუშაობს მაზე და უნდა მიეცეს მუშებს შრომის და საჭიროების ნორმით ადგილობრივის პირობების მიხედვით—სასარგებლოთ და უფასოთ.

**თ. ღლონტი.** სო.-ფედ.)

ორატორი თავის ვრცელ სიტყვაში ცდილობს დაამტკიცოს, რომ საქართველოში ინტენსიური კულტურა ვითარდება და შეუძლებელია წარმოდგენილ კანონ-პროექტის მიღება. არც ერთი ნაჭერი მიწისა არ უნდა დავუტოვოთ მას, ვინც თითონ არ დაამუშავებს მიწას. მიწის ნორმა შრომის პრინციპების მიხედვით უნდა იყოს აგებული. ჩვენ სოფელი უნდა გავანთავისუფლოთ ისეთ ელემენტებისაგან, რომლებიც არ მუშაობენ და ხელს უშლიან მეურნეობის აყვავებას.

კრება იხურება, შემდეგი სხდომა ინიშნება კვირას, შუადღის 12 საათისთვის.

## ნაციონალიზაცია და საქართველოს რესპუბლიკის დაწესებულებანი.

ნაციონალიზაციის საკითხს ჩვენში დიდი ისტორია აქვს. ამიტომ იგი, ერთის შეხედვით, დრო მოჭმულად ჩაითვლება. მართალია, ბევრი დაიწერა და ითქვა ნაციონალიზაციის შესახებ დღიდან რუსეთის დიდი რევოლიუციის დაწყებისა, მაგრამ არ იქნება ურიგო ერთხელ კიდევ მოვაგონოთ მკითხველს ამ საკითხის ბედი და ის, თუ რა მდგომარეობაშია გაქართულების საქმე ჩვენი რესპუბლიკის დაწესებულებებში ამ უკანასკნელ დროს. რევოლიუციის დაწყებიდან ჩვენ მოვითხოვდით არა თუ ნაციონალიზაციას სხვადასხვა დარგში და ამა თუ იმ დაწესებულებაში, არამედ ჩვენ თავიდანვე მოვითხოვდით სრულ ავტონომიას შინაურ მართვა-გამგეობაში, რაც ჰგულისხმობდა ნაციონალიზაციას ჯარისას, გაქართულებას სკოლებისას და ყველა სხვა სახელმწიფო დაწესებულებებისას. მაგრამ ამ საკითხზე წერა და ლაპარაკიც პირველ ხანებში აკრძალული იყო. ბეჭვდისა და სიტყვის თავისუფლება ამ საკითხისთვის არ არსებობდა. ან კი რა ნაყოფი შეეძლო მოეტანა ჩვენთვის ნაციონალიზაციაზე, თუ გაქართულებაზე წერასა და ლაპარაკს, როდესაც ჩვენი ქვეყნის მესვეურებს თვალყური ჩრდილოეთისაკენ ეჭირათ: ამის გამო ყოველი ჩვენი ამოძახილი ეროვნული ჭრილობების მოსარჩენად მიმართული უნაყოფო იყო და დიდხანს უყურადღებოდ იყო დატოვებული. მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა. ცხოვრების ჩარხის ტრიალმა დაამარცხა ჯიუტობა ჩვენი მეთაურებისა, მაგრამ ქართველი ერი სათანადო მომზადებული ვერ შეხვდა, ვერ შეხვდა დამოუკიდებლობას იმიტომ, რომ ჩვენ სახელმწიფოებრიობას ეროვნული სარჩული აკლდა. პირველი დეკრეტი ნაციონალიზაციის შესახებ ამიერ-კავკასიის სეიმმა დასწერა, მაგრამ იგი მხოლოდ ქაღალდზე აღინიშნა და დღის სინათლე არ უნახავს. მალე მოვესწარით საქართველოს დამოუკიდებლობასაც. ეხლა კი ზედმეტი იყო გაქართულებაზე ლაპარაკი. მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ დღესაც გაქართულების საქმე ვერ არის სათანადო დონზე. საქმის წარმოება და მართვა-გამგეობა დღესაც ბევრ ჩვენ დაწესებულებებში რუსულ ენაზე სწარმოებს. ამბობდენ პირველ იანვრიდან სრული ნაციონალიზაცია მოხდებაო. მაგრამ პირველი იანვარიც დადგა და გაქართულების საქმე კი ძველებურ მდგომარეობაშია. მართალია, თვითოეულ დაწესებულებას ამორჩეული კომისია ჰყავს, რათა ქართულ ენაზე მიწერ-მოწერის ქაღალდები შეიმუშაონ, მაგრამ ბევრგან ეს კომისიები უმოქმედობას იჩენენ და მის მაგივრად, რომ იანვრიდან სრული გაქართულება მოეხდინათ, ახალი წლის დასაწყისში რუსულ ენაზე უკვეთავენ მიწერ-მოწერის ქაღალდებს. ამ უმოქმედობასთან ერთად გაქართულების საქმეს ხელს უშლის აგრეთვე მოხელეთა უცოდინარობა. მართლაც და ბევრს მათგანს უცხო ენაზე უფრო ეხერხება საქმის წარმოება და ამიტომ არ დაეძებს, თუ როდის მოხდება გაქართულება. რასაკვირველია ეს ზოგიერთებზე არ შეიძლება ითქვას. მესამე საყურადღებო მიზეზი, რომელიც ხელს უცარავს გაქართულების საქმეს, არის ის, რომ ჩვენ სახელმწიფო დაწესებულებებში ჯერ კიდევ ბევრი უცხო ტომის პირები მსახურობენ, რომელნიც დაფიქრებული მტერნი არიან ამ „წყეული „ნაციონალიზაციისა. ჩვენი მესვეურები კი ისე გაიტაცა მათდამი ლოიალიზმმა, რომ დღემდისაც ვერ მოუხერხებიათ მათი გაძევება. სამწუხარო ის არის, რომ ამ პირებს პასუხსაგები ადგილები უკავიათ და მათი ხელქვეითი მოსამსახურენი იძულებული ხდებიან რუსულად დაწერილი ქაღალდები და მოხსენებები მიართვან თავიანთ უფროსებს. მართალია, ამ ბოლო ხანებში ითხოვენ უცხო ტომის მოსამსახურეთ, მაგრამ მთავრობის ნაბიჯი ამ მხრივ კიდევ არ არის გაბედული. მთავრობას უნდა ახსოვდეს მათი გულღვარძლიანობა, გაუტანლობა და ზომები მიიღოს მათ წინააღმდეგ, თორემ ღალატს უფრო დიდი ღალატი მოჰყვება. „მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისგან უფრო მტერიაო" ნათქვამია და ეს უნდა მოიგონონ ჩვენმა მესვეურებმა თუ არ უნდათ, რომ ათი-ათის ამომრჩევლის სიის დახევას ასი-ათასის არ მოჰყვეს. ერთი სიტყვით, უცხო ტომის მოსამსახურეების გაჩერებას ჩვენს დაწესებულებებში ზარალის მეტი არაფერი არ მოაქვს. სხვა რომ არა იყოს რა თვით გაქართულების საქმე ფერხდება ამით. გაქართულების საქმეს თვალყური უნდა ადევნოს და ხელი შეუწყოს არა მარტო მთავრობამ, რომელიც ამ საქმეში უძლური გამოჩნდა, არამედ ამას ხელი უნდა შეუწყოს მოხელეთა კავშირმაც, რომელიც კარგა ხანია დაარსდა. სწორედ ამ ქართველ მოხელეთა კავშირის საქმეა წარმატებით წაიყვანოს და დააჩქაროს გაქართულება. თორემ რასა ჰგავს! ერთდაიმავე დაწესებულების სხვადასხვა განყოფილებაში სხვადასხვა ენაზეა საქმის წარმოება. საჭიროა დროზე განვთავისუფლდეთ ასეთ მდგომარეობისაგან და განთავისუფლდებით მაშინ, თუ მთავრობაც და მოხელეობაც გაქართულების საქმეს ენერგიულად შეუდგებიან. ჩვენ ამ შემთხვევაში უცხო ენისა და ერის სიძულვილი კი არ გვალაპარაკებს, არამედ საქმის ვითარება და სახელმწიფოებრივი მოვალეობა, რადგან თვით საქართველოს სახელმწიფოებრივი სიმტკიცისათვის არის საჭირო გაქართულება. ამას გარდა ყველა გამვლელ-გამომვლელი ჩვენ მიწა-წყალზე ჩერდება და უკვირდება ჩვენს სახელმწიფოებრივ უუნარიანობას; საჭიროა უცხოელებმაც დაინახონ, რომ ჩვენც ერი ვართ, რომელიც საკუთარი ძალღონითა და საკუთარ კულტურით სცხოვრობს. მაშინ ისინიც ანგარიშს გაგვიწევენ.

Privatus.

## მოძრაობა ახალციხის მაზრაში.

გუშინ ახალციხიდან მოვიდა ცნობა, რომ ახალციხის მხარეში შფოთვარება დაწყებულა.

არდაგანის ოლქში ფოცხობის რაიონში შეჭრილან შეიარაღებული „ბანდები", რომელთა შორის მრავალი ოსმალო ასკერები არიან უკან დაუწევიათ ჩვენის საზღვრ ბის ქართველი მოდარაჯენი დაიკავეს რამოდენიმე სოფელი. ბანდებს ხელმძღვანელობენ ოსმალოელთა აგენტები.

მთელს მაზრაში აგიტაცია სწარმოებს საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ.

არდაგანის ოლქში ჯერ კიდევ იმყოფება, აგრეთვე, ცნობილ ოსმალო ღენერალი ხალილ-ბეი.

საქართველოს მთავრობის მიერ სწრაფი ზომებია მიღებული მოძრაობის ჩასაქრობათ.

## უკრაინის მომავალი

უკრაინის დიპლომატიურ წარმომადგენელს საქართველოს მთავრობასთან უტყუარი ცნობები მოსვლია, რომ გალიცია უერთდება უკრაინას. ამ შეერთებას მხარს უჭერენ მოკავშირენიც.

უკრაინის ოფიციალურ წარმომადგენლებს განუცხადებიათ, რომ უკრაინა მხარს დაუჭერს ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზედ ფედერატიულ სახელმწიფოს შექმნას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფედერატიული ცენტრი შეიძლება კიევში და ამრიგათ პოლიტიკური გავლენაც უკრაინის ხელში გადავა.

—

**სოციალისტური პარტიები ებრძვიან კერძო საკუთრებას. თუ გინდათ რომ აყვავდეს ხალხის მეურნეობა, ვაჭრობა-მრეწველობა და საქართველო ქონებრივად მოღონიერდეს, ხმა უნდა მისცეთ ეროვნულ - დემოკრატიულ პარტიის სიას № 2.**

## დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო)

**გერმანია და ვილსონის პროგრამა**

გერმანიის მთავრობა ჰფიქრობს, რომ დადგა დრო, როცა მან უნდა მიაქციოს მოკავშირეთა ყურადღება შემდეგს გერმანიის ხალხი იწყებს ფიქრს, რომ ვილსონის პროგრამა მოკავშირეებმა მიიღეს იმიტომ, რომ დაეუძლურებიათ და დაემარცხებიათ გერმანია.

### ინგლისური პრესა.

19 იანვარი

**ინგლისის საავიაციო სამინისტრო**

ინგლისის საავიაციო სამინისტრო დამოუკიდებელი იქნება სამხედრო სამინისტროსგან. ამ უწყების უფროსი გენ. სილლი დაემორჩილება პირდაპირ სახელმწიფო სეკრეტარს.

**მედინა**

ოსმალეთის მიერ დროებითი ზავის პირობების ხელის მოწერის 11 თვის შემდეგ სამღვთო ქალაქი მედინა ინგლისის მოკავშირე არაბეთის შეიხ ჰეჯასის ჯარს დანებდა.

დროებითი ზავის მე-16 პუნქტი ოსმალებისაგან მოითხოვს ჰეჯასში მყოფ გარნიზონების ჩაბარებას. მედინის გარნიზონმა უარი განაცხადა ხელშეკრულების პირობის ასრულებაზე, ამიტომ ქალაქი იერიშით აიღეს, რომლის დროს ქალაქი დაზარალდა და განთქმული მეჩეთი, სადაც წინასწარმეტყველის კუბო ესვენა, დაინგრა.

**რუსეთის მდგომარეობის საკითხი დრ. ზავის კომისიაში.**

დროებითი ზავის კომისიის მუშაობის ოფიციალურ ანგარიშის თანახმად სამშვიდობო კონფერენციის პრელიმინარულ სხდომაზე, დილით 16 იანვარს განხილულ იქნა საკითხი რუსეთის მდგომარეობის შესახებ. მოხდა შეთანხმება, რომლის თანახმათ ყველა მთავრობებმა უნდა გააცნონ ერთი მეორეს ის საბუთები, რაც მათ განკარგულებაშია, რათა საერთოდ გამოარკვიონ საკითხი.

**ომის საჭიროებისთვის გემების განთავისუფლება**

ამერიკის საზღვაო დეპარტამენტი იუწყება, რომ ომის საჭიროებისათვის გამოყენებული გემები განთავისუფლებული იქნება ტონაჟის აღდგენის მიხედვით.

### ფრანგული პრესა

იანვრის 19.

**კლემანსოს საზავო კონფერენციის თავმჯდომარედ.**

კლემანსოს სიტყვა საზავო კონფერენციაზე. კლემანსო ერთხმად აირჩიეს საზავო კონფერენციის თავმჯდომარედ. პრეზიდენტმა ვილსონმა, ლოიდ ჯორჯმა და სონინომ განაცხადეს, რომ ისინი მადლობასა და ალტაცებას გრძნობენ კლემანსოსადმი რადგან ის არის არა მარტო საფრანგეთის წარმომადგენელი, არამედ კაცობრიობის ერთ უდიდეს მომწყობთაგანი.

კლემანსომ მადლობა გადუხადა კონფერენციას პატივისცემისთვის და კონფერენციის მუშაობის მიზანი შემდეგნაირად განმარტა: „ბატონ პრეზიდენტ ვილსონს უფლება ჰქონდა ავტორიტეტულათ განეცხადებია, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა თავი მოუყრია მთელი დედამიწის კულტურულ ხალხთა წარმომადგენლებს. რამდენათ საშინელი იყო კატასტროფა, რომელმაც ააოხრა საფრანგეთის ერთი უმდიდრესი ნაწილი, იმდენად ფართოდ უნდა იქნეს ანაზღაურებული ჩვენი ზარალი. მაგრამ ანაზღაურება უნდა იყოს არა ჩვეულებრივი, ე. ი. ზარალის ანაზღაურება, გაბედვის ვიტყვი, ყველას, ჩვენ გვეკუთვნის, უნდა იყოს კეთილშობილური და პატიოსნური, რომელსაც ვეცდებით მივაღწიოთ, რათა ხალხს ავაცილოთ თავიდან ის მონობის უღელი რომელიც ტანჯვასა და გაპარტახებას ამეფებს ხალხში და ართმევს მას მშვიდობიან პირობებში შრომის საშუალებას ჩვენ გამქვალული ვართ ამ მაღალ და კეთილშობილურ მოსწრაფებით და უნდა ვიმედოვნოთ რომ მიზანს მოვაღწევთ. ის კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება თუ ჩვენ ვიხელმძღვანელებთ გარკვეულ და უკვე მიღებულ იმდეებით. მხოლოდ მთლიანობის შენარჩუნებით მივაღწევთ მიზანს. ჩვენ აქ მეგობრებათ შემოვედით და უნდა გავიდეთ როგორც ძმები. აი ის აზრი, რომელიც მინდოდა გამომეთქვა. ყველაფერი უნდა დაუმორჩილოთ იმ აზრს, რომ საჭიროა მჭიდრო კავშირის შეკვრა ამ უდიდეს ომში მონაწილეობის მიმღებ ხალხთა შორის. აქ არის წარმოდგენილი ეს მთლიანობა და ახლა თქვენზეა დამოკიდებული იმის არსებობა მომავალში. საჭიროა, რომ ამის სურვილი იყოს ყველას ჩვენ გულში, როგორც უკვე უხარი პრეზიდენტ ვილსონს, ამ მიზნის მიღწევამ არავინ არ უნდა იმსხვერპლოს.

—

## ქართველო ამომრჩეველო!

**ეროვნული დემოკრატია სასტიკად ებრძვის სომეხი პლუტოკრატიის ბატონობას საქართველოში და ქალაქის თვითმართველობაში.**

**მიეცით ხმა მეორე ნ-მრის სიას.**

# საარჩევნო მუშაობა

**ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის საკანდიდატო სიის № საქართველოს დამფუძნებელ კრების და ქალაქ თბილისის არჩევნებში არის**

# № 2

**პარტიული ორგანიზაციები უნდა შეეცადონ, რომ ყველგან, საქალაქო არჩევნებშიაც, ჩვენი პარტია ამ №-ით გამოვიდეს.**

## ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი

ეროვნულ - დემოკრატიულ პარტიის მთავარმა კომიტეტმა დამფუძნებელი კრებისა და თბილისის საქალაქო არჩევნებისათვის მოსამზადებლად აირჩია ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი სამი პირისაგან: ალექსანდრე ასათიანი, პართენ გოთუა და ლელი ჯაფარიძე. კომიტეტის მდივანია მ. ხერხეულიძე.

ყველა პარტიულმა ორგანიზაციებმა და დაინტერესებულმა პირებმა პირდაპირ უნდა მიმართონ ცენტრალურ საარჩევნო კომიტეტს, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზე № 5—მთავარ კომიტეტის ბინაზე; კანცელარია ღიაა დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდის.

საჭიროებისამებრ და საჩქარო საქმეების გამო შესაძლებელია მიმართონ პირადათ კომიტეტის წევრებსაც მათ ბინაზე:

პ. გოთუა—ბელინსკის ქ. № 1 ტელ. № 7—75.

ალ. ასათიანი და ლ. ჯაფარიძე—მატინოვის ქუჩა № 17, ტელ. 16—95.

## პარტიულ ორგანიზაციებს

ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი ავალებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და იმ პირთ, რომელთაც კომიტეტისაგან მიღებული აქვს რაიმე დავალება, სწრაფად აცნობონ ცენტრალურ კომიტეტს საქმის ვითარება, და ყოველი საყურადღებო ცნობა, რომ საარჩევნო კომპანიაში შესაძლებელი იქნეს ყველა პარტიულ დაწესებულებათა მტკიცე ორგანიზაციაში შეკვრა.

## პარტიის წევრთა და თანამგრძნობთ

ეროვნ.-დემოკრ. პარტიის ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი სთხოვს ყოველ პარტიის წევრს და თანამგრძნობს, რომელნიც მიემგზავრებიან პროვინციაში, წასვლის წინ შემოიარონ ცენტრალურ კომიტეტის ბინაზედ, სასახლის ქუჩა 5. და იკისრონ სხვა და სხვა საჭირო და საჩქარო დავალება საარჩევნო კომიტეტისაგან.

კომიტეტი ესეთივე თხოვნით მიმართავს იმ პირთაც, რომელნიც პროვინციიდან ბრუნდებიან აცნობონ კომიტეტში, ან რომელიმე კომიტეტის წევრს მდგომარეობა იმ მხარისა, საიდანაც ზემოხსენებული პირი მობრძანდება.

## საარჩევნო სიები

თბილისის ქალაქის გამგეობამ გამოაქვეყნა ქალაქის საარჩევნო სიები, მაგრამ მათ სასტიკი შესწორება სჭირდებათ. მრავალი ამომრჩეველი სრულებით შეტანილი არ არის; მრავალი ამომრჩევლის ბარათი დახეულია იმ ბოროტმოქმედთა მიერ, რომელთაც 10,000 ბარათი გაანადგურეს ქალაქის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

ყოველი მოქალაქე ვალდებულია თითონ მოიკითხოს თავის საარჩევნო უბანში და გაიგოს შეტანილია თუ არა სიაში; თუ შეტანილი არ არის სიაში, თითონ შეატანიოს თავი, წერილებით ან სიტყვიერათ.

რომ სიაში შეტანილ იქმნენ, ქართველებს არავითარი საბუთები არ სჭირდებათ გარდა მეტრიკული მოწმობისა და ისიც იმ შემთხვევაში, თუ შეხედულება 20 წელზედ ნაკლები აქვს.

ამ სიებით მოხდება საქალაქო არჩევნებიც 2 თებერვალს და დამფუძნებელი კრებისაც 14, 15, 16 თებერვალს. ვინც ეხლა არ მოხდება სიაში, ის ვერც ერთს არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

ისწრაფეთ შეიტანონ შესწორებანი სიებში.

სიების გასწორებისთვის მხოლოდ ორი დღე დარჩა: 21 და 23 იანვარი.

საუბნო კომიტეტები მოთავსებულია შემდეგ ადგილებში:

1) საარჩევნო უბ. ქალაქის პირველდაწყებითი სასწავლებელი, ოლღას ქუჩა, 52, სახლი მაჩაბლისა.

2) საარჩევნო უბ. პირველი ვაჟთა გიმნაზია, გოლოვინის პრ.

3) საარჩევნო უბ. მესამე ვაჟთა გიმნაზია, ლერმონტოვის ქუჩა.

4) საარჩევნო უბ. მანთაშევის ქარვასლა, სომხის ბაზარი № 62.

5) საარჩევნო უბ. პუშკინის ქალაქის სასწავლებელი, ვარანცოვის ქუჩა.

6) საარჩევნო უბ. ნადეჟდის თავშესაფარი.

7) საარჩევნო უბ. ავლაბრის კლუბი, ზამთრის შენობა.

8) საარჩევნო უბ. პირველი საკომერციო სასწავლებელი.

9) საარჩევნო უბ. ქალაქის სასწავლებელი პეტრე დიდის სახელითა, ჩერქეზიშვილის ქუჩა 29.

10) საარჩევნო უბ. სახალხო სახლი ზუბალაშვილისა.

11) საარჩევნო უბ. ნაძალადევის თეატრი, ჩერქეზიშვილის ქუჩა.

12) საარჩევნო უბ. რკინის გზის სასწავლებელი.

13) საარჩევნო უბ. საბურთალოს კომისარიატი.

განცხადებების შეტანა შეიძლება დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

23

ეროვნული

## ნავთლუხის „ჰოსპიტალში“

ქალთა ზოგ ორგანიზაციებმა გადასწყვიტეს ყოველ გვარი დახმარება აღმოეჩინათ ომის საჭიროებისათვის. არ დასტოვეს უყურადღებოდ არც ჰოსპიტლებში და ლაზარეთებში სადაც დაჭრილები და ავადმყოფები იყვნენ.

კომისია გაემგზავრა ნავთლუხის ჰოსპიტალში რომ გაეგო: რაში სჭირდებოდა მოხალისე დები. ჰოსპიტლის უფროს ექიმად ითვლება ექ. თიკანაძე. მაგრამ იმ დროს მის კაბინეთში ერთი ექიმიც იყო (რომლის გვარიც არ ვიცი). როცა კომისიამ მოახსენა რისთვის იყო მოსული უფროსმა ექიმმა „ექიმთა კრებას“ მოუცადინა ხოლო მეორე ექიმმა კი სწრაფლ გვიპასუხა.

— ამას გადაცემა არ უნდა. ძალიან კარგი იქნება თუ კი მოვლენ. ქალები მეტად გვჭირიან.

თითო ქალი დაინიშნება თითო პალატაში ზედამხედველებად რომ დროზე მისცენ დაჭრილებს და ავადმყოფებს წამალი, სასმელი, საჭმელი და სხვა. ხოლო სამზარეულოში კი დიდად ადევნონ თვალი: სუფთად გააკეთონ, ცუდ-უბრალოზე არაფერი დაიხარჯოს.

კომისია დაბრუნდა. მეორე დღეს გაისტუმრა მსურველები ჰოსპიტალში. თერთმეტი ქალიშვილი გავემგზავრეთ. მოსვლისას ვინახულეთ ბ-ნი თიკანაძე რომელმაც სიხარულით, მადლობით მიგვიღო. დაუძახა უფროს სათნოების დას, რომელსაც ჩაგვაბარა და იმას უნდა გავენაწილებინეთ სხვა და სხვა პალატებში.

უფროსი რუსი აღმოჩნდა და რუსულად გვეტიტინებოდა.

— ეს კარგია, კარგი რომ დასახმარებლად ჩამოდით და თან გვწერდა: ზოგს ქირურგიულ ნაწილში, ზოგს ავადმყოფებთან, ზოგს დაჭრილებთან და სამზარეულოში.

შევედით პალატებში მივიხედ-მოვიხედეთ ღმერთო, სულ რუსები. მოვითხოვეთ წინსაფარი. იმედი გვქონდა ქართველს შევხვდებოდით. არავინ...

ჩვენი მოსვლა ღვთისწინაშე, მეტად გაუხარდათ, რომ შევეშველებოდით და ჩვენ კი მათ ზედამხედველებად ვყავდით დანიშნულნი. ნუ თუ ეს არ უთხრა ბ-ნ ექიმმა?

რომ ისეთი თვალით, ამაყათ, ირონიითაც კი არ მოგვქცეოდნენ და ანგარიში გაეწიათ ჩვენთვის?

გამოველაპარაკე ავადმყოფებს.

— ეხლა გახდი ავად. როგორ გივლიანს?

— ჰო, სომხებთან ვიყავი. მაგრამ თუ კი ავად გავხდებოდი სჯობდა მომკვდარიყავი.

გვშიან. ჩაის 12 საათზე გვასმევენ. სადილს 6 საათზე გვაჭმევენ, ისიც ცოტას. ნახევარზე მშიერნი ვართ. ღმერთმანი, სოფელში ჩვენსა რომ ვიყო ნათლიდედები ქვეყნის საჭმელს დამაყრიან თავზე. აქ კი... მშიან, მადა მაქვს და არც მაჭმევენ, როგორ უნდა გავხდე კარგად გამწერე „კამისიაში“—რათა? ვეკითხები—ჯერ რომ არ მორჩენილხარ—აქ არც მოვრჩები. წავალ სოფელში. რაც ფული მქონდა სულ დამეხარჯა. რიღათი ვიყიდო პური, ხილი?

აგერ მეორე მეუბნება.

დაო, სულ ქართველები მოხვედით.

— ჰო—უპასუხებ.

— აი გიშველათ ღმერთმა. ძლივს ჩვენი ხალხი არა ვნახე. აკი იძახდნენ რომ ყველგან გაქართულდაო, აქ რაღა დაემართა რომ სულ რუსის „გოგოები“ შემოურეკიათ? მე რა ვიცი რუსულისა? ეხლა ხომ ჩვენი სახელმწიფოა და კიდევ რუსობენ როგორ არი საქმე?

აგერ ახლა მოკუნტული ავადმყოფი.

მომიბრუნდა

— იქნება ეხლა მაიც გვეშველოს გათბობა. გვცივა. სიცივით ვიხოცებით. თავს არ იცხელებს ეს ჩვენი „სომეხი სანიტარი“ თუ არა აქვთ, აი ჩვენ სოფლიდან მამა ჩემი გინდ ორ ურემს ჩამომიტანს.

აგერ კიდევ ერთი სჩივის.

იქნება ეხლა მაინც მეშველოს. ფეხები მაქვს დამზრალი. მადებენ რაღაცა წამალს და რა წამალი მიუდგება ხელის სისქე ჭუჭყი მადევს. აბა მოდი თმები გამიშინჯე?

აჰბა ნახე ჩემი ხელები, პერანგი. არც საპონია რომ საპნით დავიბანო. სოფელში რომ ვიწვე დედა ჩემი ესე მომივლის?

თვალებს ვიფართოვებ და მიკვირს! გარეგნული სისუფთავე:

ავადმყოფები კი ძირს აფურთხებენ.

ვერ გაივლით ფეხები დაგისველდებათ.

წყალი, ნაჭამი სულ იატაკზეა. სიცივე ჭუჭყი... ნაგავი. ამის მეტს ვერაფერს ნახავთ.

ვიკითხე მიზეზი. და მიპასუხეს.

— ჰოსპიტლებში ერთი წესია. ეს ხომ ლაზარეთი არ არის. აქ სისუფთავე არ შეიძლება.

თურმე, სისუფთავე ყველგან არა ყოფილა საჭირო!

რადგანაც მე არ ვიცოდი ჰოსპიტლის „წესია“ ვთქვი „ამათ ჩემზე მეტი იციან“ მაგრამ.. აგერ ვიღამაც დაიძახა

— სამხედრო მინისტრი მობრძანდება—ო

აი ფაცა, ფუცი. გაჩნდა ჩოტკები, ტილო დაგვა, დასუფთავება.

აჰა, ეხლა მივხვდი თურმე მაშინ სუფთავდება როცა ბ-ნი მინისტრი მობრძანდება დასათვალიერებლად!

ეს უთხარი.

თავი უსირცხვილოთ გაიმართლეს:

— ჩვენ ყოველთვის ამ დროს ვუვლით.

კარგია ღმერთმანი, დილის 12 საათზე ჩაი დაალევინონ ავადმყოფებს და შემდეგ მოუარონ იქაურობას!

რა გული უნდა მიუვიდეს ავადმყოფს?

იმ სიჭუჭყეში მადიანს დაეკარგება მადა.

საინტერესოა იცის ყველა ეს ბ-ნმა თიკანაძემ?

ან ის მოსამსახურეები რას აკეთებენ?

აგერ მოდის ჩემი წაყვანილი ქალიშვილი და წყრომით მეუბნება.

— წინ საფარს არ მაძლევს მოწყალების დაო. როცა ვთხოვე დამიყვირა „არა მცალიანო“ მჯერა. დიდ საქმეში არიან. ნათესავი მოსულია და მას ელაპარაკება.

ჩავედი სამზარეულოში. გამგე რუსის ქალი მომვარდა

— მე ძალიან კმაყოფილი ვარ თქვენი ქალებით. კარგად მუშაობენ.

გავიხედე და ხორცს ჰნაყავენ, ხახვს ფცქვნიან. არა უშავს რა. თუ კი საქმე მოითხოვს არა უარობენ ქალიშვილები მაგრამ ბ-ნ ექიმს უნდა გაეცნო თუ არა ჩვენი თავი იქ მომსახურეებისათვის თუ ვინ ვიყავით და რისთვის ვიყავით მოსულები??

სამი საათი ხდება... ვუყურებ და მიდიან და მოდიან... დიდები, პატარები, ბებრები, მოაქვთ ქვაბები, ჯამები, ტაფები, საჩაიები—დღეს სტუმრები მყავს და შეიძლება მეტი მომცეთ?

— დიდი სიამოვნებით—ეუბნევა გამგე ქალი.

მოაქვთ და მოაქვთ... ვინ არიან? სად მიაქვთ, საიდან გაჩნდნენ? ღმერთმა გაიგოს.

ავადმყოფები კი ელიან... და ელიან მაგრამ ამაოდ. ჯერ არა სცალიან რუს გამგეს რომელიც მოკალათებულა სამზარეულოში ჯერ უნდა „კუმუშკები“, შვილიშვილები მეზობლები გაისტუმროს და თუ გადარჩა რამე, მაშინ გაუგზავნის ავადმყოფებს, დაჭრილებს. თუ არ გადარჩა და უარსაც კარგად შეუთვლის.

— დიახ, აი, ესეა. თვალით ნანახია მიკვირს და ვიძახი იცის ყველა ეს უფროსმა ექიმმა? ვინ არის ამ ჰოსპიტლის პატრონი. ვეწევით ხარჯს, არაფერს ვზოგავთ იმისთვის რომ იქ გვეგულება საქართველოს დამცველნი დაჭრილები, ავადმყოფები, მათ მშიერს უშვებენ გაბატონებულან ვიღაც რუსის „მუჟიკები“ და როგორც უნდათ ისე ატრიალებენ იქაურობას.

ომი შეჩერდა—აღარ ემატება იქ დაჭრილები მაგრამ ვინც წვანან მათ პატრონობა უნდათ. თუ არა? ხომ არ დავხოცავთ?

ბატონებო, მიხედეთ ვისაც შეეხება მისი მიხედვა თორემ გვეხოცებიან მეომრები და ვინც ჯერ ცოცხალია ისიც მეტად უმადურია რადგანაც სცივა, მშიერია, ჭუჭყი სჭამს და მომვლელი ყურის მგდებელი არავინ ჰყავთ.

ქეთევან წამებული.

## ქალაქის არჩევნებისათვის

მოახლოვდა თუ არა ქალაქის მცხოვრებლების და დამფუძნებელ კრების არჩევნები დაფაცურდნენ.

ჩვენს მტრებს ისევ არ სძინავთ. და ვისაც-კი შეუძლიან აგიტაციას ეწევა, რომ გულუბრყვილო ხალხი გააბას თავის ქსელში. ამას წარსულის მაგალითებიც გვალაპარაკებს.

როცა შარშან წინ დაშნაკელები ყოველ ღონესა ხმარობდნენ რომ საარჩევნო ფურცლები ხელში ჩაეგდოთ, ერთს წერილის დამტარებელს ოცი თუმნიდან დაუწყეს ვაჭრობა, რომ მათთვის მიეყიდნა საარჩევნო ფურცლები, მაგრამ ვერას გახდნენ.

გარდა ამისა სანამ კაცი საარჩევნო ყუთთან მივიდოდა გზაში აგენტები ჰხვდებოდნენ და ათას ხრიკებით ცდილობდნენ საარჩევნო ბარათები როგორმე დაეტყუებნათ და სამაგიეროდ თავისი კონვერტი მიეცათ, რომლებშიაც თავიანთ პარტიის ნომრები იყო ჩაწყობილი. ზოგს ძალადაცართმევდნენ ხელიდან მუქარით და ლანძღვა-თრევით. ბევრს სიყალბეს და ქვემძრომობას ეწეოდნენ.

როდესაც სომხეთმა საქართველოს ომი გამოუცხადა საქართველოს ყველა ქვეშევრდომი მოვალე იყო იარაღით ხელში წინ დასდგომოდა მტერს. ეს ჩვენი ვითომდა კეთილის მსურველნი კი საქართველოს ქვეშევრდომობას გაურბოდნენ და ზოგი ადერბეიჯანის ქვეშევრდომად ეწერებოდა, ზოგი—რუსეთისა და ზოგი-კი მართლაც თოფით ხელში საქართველოსავე წინააღმდეგ მოქმედებდა.

დღეს?

დღეს როცა ომი შესწყდა, ჯარი დაბრუნდა, ჩვენი მტრები ისევ ჩვენში დატრიალდნენ და ეხლა ისევ საქართველოს ქვეშევრდომად აცხადებენ თავს ოღონდ-კი საარჩევნო ფურცლები აიღონ და. აქაც გვიმტრონ, ყველა უბანში შავი კენჭები ჩაგვიყარონ, რომ ჩვენი ხალხი გააშავონ, უთოფ-იარაღოდ დაგვამარცხონ. რაკი ესენი ამ გვარად იცვლიან თავის მიმართულებას და ზნე-ფერს, ეჭვი არ არის არავითარ ხრიკებს არ დაერიდებიან, რომ როგორმე ხელთ იგდონ საარჩევნო ფურცლები.

ასეთ საფრთხის თავიდან ასაცილებლად საჭიროა შესაფერი ზომების მიღება, რომ არც სამშობლოს ევნოს რამე, არც საარჩევნო ფურცლების დამტარებლებს.

გარდა ამისა უეჭველად საჭიროა უძლიერესი კანტროლი დააწესონ არჩევნების დღეს, რომ საარჩევნო ფურცლებს ქუჩებში ხალხს ხელიდან არ ართმევდნენ.

შ. იანქო.

## დამფუძნებელ კრების არჩევნები

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაციებს, პარტიის წევრებს და თანამოაზრეთ.**

14, 15 და 16 თებერვალს მოხდება საქართველოს დამფუძნებელ კრების წევრთა არჩევნები.

გევალებათ:დაჩქარებით გააცნოთ თქვენს რაიონში მცხოვრებ ხალხსა დამფუძნებელი კრების მნიშვნელობა.

გაურკვიეთ ყველას, რომ ყოველი ქართველი მოვალეა შეგნებული მონაწილეობა მიიღოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში.

აუხსენით ხალხს თუ როგორი შედეგები მოყვება სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების სოციალისტური პარტიების ხელში დარჩენას, თუ რამდენათ სახიფათო იქნება ეს სასოფლო მეურნეობისათვის, ვაჭრობა-მრეწველობისათვის და საერთოთ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური ერთი-ერთობისათვის.

აუხსენით ხალხს, რომ უკეთუ ქართველი ხალხი შეგნებულ მონაწილეობას მიიღებს არჩევნებში, არ მისცემს ხმას სოციალისტურ პარტიებს და ამოირჩევს იმათ ვინც იცავს ერის უმრავლესობის ინტერესებს, დამფუძნებელი კრება ჩამოართმევს მთავრობას სოციალისტურ პარტიებს და ჩააბარებს იმათ, ვისაც ნამდვილი დემოკრატიული წყობილების დამყარება შეუძლიანთ და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უნარი აქვთ.

ყველა ქალაქების, მაზრებისა და სოფლის საზოგადოებათა საარჩევნო კომისიებში უნდა დაინიშნოს ჩვენი პარტიის წარმომადგენელი. პარტიის სამაზრო კომიტეტებს ევალებათ სასწრაფოდ გამოარკვიონ, თუ რომელს სოფლებში დაიდგმება საარჩევნო ყუთები და თითეულს ყუთს თავისი წარმომადგენელი მიუჩინონ.

მათ უნდა ყოველგვარი ზომები მიიღონ, რომ არჩევნები იყოს თავისუფალი, რომ არ იყოს ძალდატანება—ადგილობრივს ადმინისტრაციას არ აქვს უფლება საარჩევნო პროპაგანდის და აგიტაციის წარმოების უფლება. ამას მოითხოვს კანონი და ადგილობრივი მთავრობა ვალდებულია ეს დაიცვას.

კანონი მოითხოვს აგრეთვე, რომ საარჩევნო კომისიებმა თვითონვე დაურიგონ ბიულეტენები ამომრჩეველთ, ჩვენი პარტიის ორგანიზაციებმა და თანამოაზრეებმა ყოველგვარი ზომა უნდა მიიღონ, რომ თითეულს ამომრჩეველს მიუვიდეს ჩვენი ბიულეტენი. უკეთუ ამომრჩეველთ დაურიგდა სხვა პარტიების ბიულეტენები და ჩვენი პარტიას კი არა, ყოველი ასეთი შემთხვევა უნდა აღინიშნოს პროტოკოლით და ეცნობოს ადგილობრივ საარჩევნო კომისიას და აგრეთვე ჩვენი პარტიის მთავარ სარჩევნო კომიტეტს თბილისში.

ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ყოველივე ზომები საარჩევნო მუშაობის შესახებ დეპეშებით უნდა აცნობოს პარტიის მთავარ კომიტეტს თბილისში. პროვინციაში მიმავალ პარტიის წევრთა და თანამოაზრეთ ევალებათ წასვლის წინ შემოიარონ პარტიის მთავარ საარჩევნო კომიტეტში. (ყოფილი თავად-აზნაურობის ქარვასლა. „საქართველოს“ რედაქციისა და მთავარი კომიტეტის ბინა).

ეროვ.-დემოკრ. პარტიის მთავარი საარჩევნო კომიტეტი.

## თფილისში მერვე გიმნაზიის გახსნის გამო.

პარლამენტის მიერ 12 გიორგობისთვეს მიღებულ კანონის ძალით ყველა ტიპის და უწყების სასწავლებელი განათლების სამინისტროს ხელში გადავიდოდა. ეს კანონი საეკლესიო უწყების სკოლებსაც შეეხო და განათლების სამინისტროს საბუთი მისცა თბილისის, მაგ., სასულიერო სემინარია და სასწავლებელი არამც თუ მიიღო თავის უწყებაში, არამედ, მათი შეერთების შემდეგ ისინი ჩვეულებრივ რვა კლასიან გიმნაზიად გადაეკეთებინა. ამნაირად, გასულ ქრისტეშობისთვის პირველ რიცხვებში თბილისში გამოცხადდა ახალი. რიცხვით მერვე, ვაჟთა გიმნაზია, რომელიც მთავრობამ უნდა შეინახოს.

როდესაც ჩვენში რომელიმე ახალი სასწავლებელი არსდება, საჭიროა ვიკითხოთ: რამდენად შეესაბამება საქართველოს კულტურულ მოთხოვნილებას და მის ფინანსიურ მდგომარეობას ასეთი სასწავლებელი? ჩვენი აზრით არსებული გიმნაზიები არ შეადგენენ ჩვენი კულტურულად დაწინაურების ერთად ერთს პანაცეას. ვინ არ იცის, რომ ისინი წარსულშიაც ვერ აკმაყოფილებდენ ჩვენს მოთხოვნილებას დაარსებით. საჭიროებას, მით უმეტეს დღეს, როდესაც საქართველო შესდგა დამოუკიდებელ ცხოვრების გზაზე და მისი ეკონომიურად აღორძინება გარკვეულ მიზნებს გვისახავს, მიუტევებელი ცოდვა იქნებოდა გიმნაზიების გამრავლებაზე ვიფიქროთ. მიუხედავად ამისა, ჩვენში სოკოსავით მრავლდება გიმნაზიები, იმას კი არავინ უწევს ანგარიშს—განსაკუთრებით დღევანდელს პირობებში. როდესაც სასწავლებლები ერთიორად გადიდებულ ხარჯთ-აღრიცხვას უდგენენ მას. ამ თვალსაზრისით ჩვენ უნდა აღვიაროთ, თომ არავითარი საჭიროება არ მოითხოვდა ზემო-დასახელებულ სასწავლებელთა გიმნაზიად გადაკეთებას. ჯერ ერთი, ამ ახალ გიმნაზიას მომავალი არ აქვს: უმეტესი ნაწილი აქ მოსწავლე შეგირდობისა. არის საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან და პროვინციიდან მოსული, ვინაიდან სემინარია ერთად ერთი საშუალო სასწავლებელი იყო მთელ საქართველოს ეკლესიაში და აქ არამც თუ სწავლას უფასოდ იღებდნენ, სტიპენდიებიც ჰქონდათ და საცხოვრებელი ბინაც. ეს შეგირდები დღეს თუ ისეთივე გიმნაზიელები იქნებიან, როგორც ყველგან და ყველა სხვა გიმნაზიელებივით, ვალდებული იქნებიან სწავლის ფული გადიხადონ, რად წამოვლენ ისინი პროვინციებიდან თბილისში, საკუთარ სახლში უფრო იაფად არ დაუჯდებათ სწავლა-განათლების მიღება, ვიდრე ცხრა მთას გადაღმა? ვსთქვათ, მაინც თბილისი ამჯობინეს: რად უნდა იასონ მათ ქალაქის განაპირას, ვაკეში, სადაც წვიმიანობისას უგზოობით ტალახში იხრჩობა ადამიანი, როდესაც შუაგულ ქალაქში რამდენიმე გიმნაზია შეხვდებათ,—უმჯობესი არ იქნება მათთვის ამ გიმნაზიებში მოთავსდეს? ამნაირად, ამ გიმნაზიის შეგირდები თავის თავად შემოეცლება და ის ბუნებრივად მოკვდება: ესეც რომ არ იყოს, ვინ არ იცის რომ თბილისის სამი ქართული გიმნაზია ნახევრად დაცარიელებულია, რაღა საჭირო იყო მეოთხის შექმნა? ჩვენის აზრით უმჯობესი იქნებოდა ახალ შექმნილ გიმნაზიის შეგირდები ჩამოერიგებინათ არსებულ ქართულ გიმნაზიაში; ამ გზით, სახელმწიფოსაც შეღავათი ექნებოდა, ვინაიდან ერთი ზედმეტი გიმნაზიის შენახვას აიცდენდა თავიდან, ხოლო იმ გიმნაზიებს, რომლებშიაც ნახევრად გარუსებული ქართველობა სწავლობს, შედარებით სალი ქართული ელემენტი შეემატებოდათ და მათი გაქართულება უფრო ჩქარის ნაბიჯით წავიდოდა.

დ. დავითაშვილი

## აჭარა-ქობულეთი

როცა ქართველ ახალგაზდობის რაინდობას, ბათუმის ასპარეზზე, სამარცხვინო აჩრდილი მოადგა, და ბათუმი, ჩვენი სამოთხე, ეკონომიური ბაზისა, ოსმალეთს ჩავაბარეთ, მხოლოდ ის ჰფანტავდა გულზე მოწოლილ ბოღმას, რომ საქართველო დამოუკიდებელ ცხოვრების გარიჟრაჟზე იყო. მრწამდა, რომ მომავალი დამოუკიდებელი საქართველო პირველ მიზნად ბათუმის დაბრუნებას დაისახავდა. მე ვცტრფოდი იმ დროს, და ვშიშობდი, რომ ვაი თუ ეს ჩემ სიცოცხლეში არ მომხდარიყო, როცა ჩვენ გამოვცილდით ჩაქვის მთას, რომელიც ცნობილი სიმაგრეა ბათუმისა, მე ვთქვი: „ოხ, ღმერთო, ოღონდ იმ დროს მომასწარ, რომ ბათუმის ასაღებად ქართველი ხალხი დაძრულიყოს და თეთრი წვერიც რომ გულზე მეფინოს, ბათუმში გამარჯვებულ დროშას შევყვები, და თუ ამასაც ვერ მოვესწრები, აი ამ მთის ძირში შევღებავ ჩემ თეთრ წვერებს-მეთქი“.

ასეც უნდა მომხდარიყო, იმ სამარცხვინო დღიდან ყოველი ატომი ქართველის სისხლისა, იმისთვის გროვდებოდა, რომ შერჩეულ დროს ეს დაგუბებული სისხლის ზღვის ტალღები ბათუმის მთებს მიჰხეთქებოდა და ის სამარცხვინო ლაქა, რომლითაც ჩვენ ეს მთები შევღებეთ, საბოლოოდ გადავრეცხათ. მხოლოდ მაშინ აღსდგებოდა ქართველი ახალგაზდობის სახელი, მხოლოდ მაშინ იმ გადარეცხილ მთებს მოსცილდებოდა ბურუსი, და ნაცვლად ამისა დამოუკიდებელი საქართველოს მზის სხივები მოეფინებოდა.

მაგრამ განგებამ არ დაგვაცალა ძლევამოსილი საოტომანო დაეცა—გუშინდელ მდგომარეობის ბატონი დღეს მონაა ძლევამოსილ ბრიტანიისა. დღეს ოსმალოს ასკერებმა დიდი ბრიტანიის ბრძანებით დასტოვეს ბათუმის ოლქი, მაგრამ ვის დარჩა ბათუმი? მისი ბედი ჯერ კიდევ საბოლოოდ არ გადაწყვეტილა. ბათუმი ინგლისელების განკარგულებაშია და შორს არ არის ის დრო, როცა ბათუმი საქართველოს დაუბრუნდება. ამის გარანტიას ჩვენ სამაჰმადიანო საქართველოს განმანთავისუფლებელ კომიტეტის მუშაობა და ინგლისის პატარა ერებისადმი დამოკიდებულება გვაძლევს. თუ ეს ასე გადასწყდა, ბათუმი სამაჰმადიანო საქართველოს დარჩება. ჩვენმა მთავრობამ უკვე უზრუნველჰყო მათი ავტონომია. მათ როგორც განსაკუთრებული სარწმუნოებისა და ზნე-ჩვეულებათა მქონეთ შინაური მართვა-გამგეობა თავისებური უნდა [illegible] გარეშე საქმეებში ისინი ჩვენ ვერ დაგვცილდებიან. მათი ავტონომიური მმართველობა ჩვენი რესპუბლიკის მფარველობის ქვეშ უნდა იქნეს. ამ გვარად საქრისტიანო და სამაჰმადიანო საქართველო ტერიტორიალურად, კულტურულად და ეკონომიურად ერთი ეროვნული იქნება. ჩვენ მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ კულტურულ კავშირს. თუ გვინდა რომ სამაჰმადიანო საქართველომ არ შეგვარცხვინოს, თუ გვინდა რომ ქართველი მაჰმადიანი არ ჰთხრიდეს სანგრებს თავისივე ქრისტიანი ძმების შესახვედრად, თუ გვინდა რომ აჭარლები და ოსმალეთის ასკერები ერთად არ გვესროდენ ტყვიას. ჩვენ იქ ჩვენი კულტურული გავლენა უნდა გავაძლიეროთ. იყო დრო როცა იქითაც საქართველოს კულტურის სხივი ეფინებოდა. დღეს კი აქედან უნდა ანათებდეს მათ საქართველოს კულტურის ძლიერი მზე. ქართული კულტურა გარდაჰქმნის მათ და არა პარტიული თუ გინდ ეროვნული პროპაგანდისტები. მაშასადამე მთელი ჩვენი ენერგია ამ სფეროში უნდა იქნას გადატანილი. მუშაობის ცენტრად კი ქ. შ. წ. გამავრცელებელი საზოგადოება უნდა გავიხადოთ. ამ საზოგადოებას დიდი ღვაწლი მიუძღვის სამაჰმადიანო საქართველოში. მას სამაჰმადიანო საქართველოზე მეტი ღვაწლი მიუძღვის ვინეე საქრისტიანო საქართველოზე. იშვიათია სოფელი რომ იქ ამ საზოგადოების მიერ მშვენიერი თლილი ქვით აგებული სკოლა არ იყოს, ზოგან სამეურნეო განყოფილებითაც კი, მაშინ როცა საქრისტიანო საქართველოში უამრავია სოფლები თვით ქალაქებიდან 6 ვერსით არიან დაცილებულნი სადაც სკოლა არ არის. დღეიდან ამ საზოგადოების მოვალეობას შეადგენს აჭარა-ქობულეთში კულტურული მუშაობა კიდევ უფრო გააცხოველოს.

ამ დღეებში ბათუმის მცხოვრები წ. კ. გ. ს. ბათუმის განყოფილების თავმჯდომარე ბ. გრ. ელიავა მოხსენებით წარუდგა მთავრობის თავმჯდომარეს, მომხსენებელმა სთხოვა მთავრობის თავმჯდომარეს ხელი შეუწყონ ბათუმში ქართული გიმნაზიის გახსნას, და აგრეთვე აჭარა-ქობულეთის სოფლებში წ. კ. გ. ს. სკოლების მუშაობის განახლებას. მთავრობის თავმჯდომარემ როგორც ვიცით დახმარება აღუთქვა. საჭიროა ეს დახმარება სიტყვიდან საქმეზე გადავიდეს. საქართველოს მთავრობამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ბ. ელიავას თხოვნას. სასწრაფოდ უნდა იქნეს მიღებული სათანადო ზომები ვისგანაც ჯერ არს, ბათუმში ქართული გიმნაზიის გასახსნელად. რაც აუცილებელია იმისთვის რომ ბათუმის მცხოვრები ქართველები ბათუმში დაბრუნდენ. აგრეთვე სასწრაფო ზომებია საჭირო რომ აჭარა-ქობულეთის სკოლებში მეცადინეობა განახლდეს. იქ მასწავლებლებად საჭიროა გაიგზავნონ არა პარტიული ამხანაგები არამედ საუკეთესო გამოცდილი და დაბრძნილი მასწავლებლები. შეუწყნარებელია იქ ახალგაზრდა ქალვაჟთა გაგზავნა. იქაურ მასწავლებლებს დიდი ვალდებულება ეკისრებათ მათ უნდა გარდმოქნან გადაგვარებული ქართველი მაჰმადიანები მათ უნდა აღმოფხვრან მათი გულიდან ოსმალოს მიერ ჩანერგილი ქართველებისადმი ზიზღი. მათ აჭარელ-ქობულეთელთა ბავშვებიდან ნამდვილი ქართველი მამულიშვილნი უნდა აღიზარდონ.

ელ. პატარიძე.

რედაქტორი გერონტი ქიქოძე.



## ფინანსთა სამინისტროსაგან

ფულის ტრიალის გასაადვილებლად და სახელმწიფოს არა ჩვეულებრივ ხარჯების დასაკმაყოფილებლად, თანახმად საქართველოს პარლამენტის დადგენილებისა, რესპუბლიკის მთავრობა ჰსცემს 50.000,000 მანეთის 5 პროცენტიან მოკლე ვადიან სახელმწიფო ხაზინის ვალდებულებათ ერთი წლის ვადით (ესე იგი 1 იანვრამდე 1920 წ.).

ვალდებულება უსახელოა და დაყოფილია შემდეგ კუპჟრებად: 5,000, 1,000, 500, 100 და 25 მან.

თუ მსურველნი აღმოჩნდნენ, უსახელო ვალდებულებანი 5,000 მან. და 1,000 მანეთიანები შეიძლება გადაკეთდეს სახელობით ვალდებულებათ რაიცა უნდა ჩაიწეროს თბილისის ხაზინის დავთრებში.

**ალნიშნულ ვალდებულებათა სარგებელი განთავისუფლებულია სახელმწიფო გადასახადისაგან.**

**ვალდებულება მიიღება ხაზინაში ყოველივე შემოსავალის დასაფარავად და აგრეთვე ხაწინდრათაც.**

**ვალდებულების შეძენა შეიძლება**

**მ ხ ო ლ ო დ  ნ ა ღ დ  ფ უ ლ ა დ**

ვალდებულებათა შეძენა შეიძლება 15 იანვრიდან სახელმწიფო ბანკში, რესპუბლიკის ყველა ხაზინებში, კერძო ბანკებში დასაკრედიტო კოოპერატივებში.
10—94—6